# აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№30 (25.054) ხუთშაბათი, 23 - 24 მარტი, 2023 წ. 50 თეთრი


### გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-18, შიდამთიან რაიონებში - 12-17, მაღალ მთაში - 8-13 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს, ღამის საათებში, ზოგან მოსალოდნელია წვიმა.

## კრიალოსა N იუსი

24 მარტს პარლამენტში პრემიერ-მინისტრს მოუსმენენ. ირაკლი ღარიბაშვილი საკანონმდებლო ორგანოში ინტერპელაციის წესით ოპოზიციის შეკითხვებს უპასუხებს.

* * *

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პრეზიდენტს შეხვდა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე სალომე ზურაბიშვილმა ლევან იოსელიანს თანამდებობაზე არჩევა მიულოცა და წარმატება უსურვა. მხარეებმა დემოკრატიული ღირებულებების სტანდარტებსა და ინსტიტუციის დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. პრეზიდენტმა სახალხო დამცველს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვითი საქმიანობის წარმართვაში მხარდაჭერა გამოუცხადა და თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვა.

* * *

ვენეციის კომისიის დასკვნის შემდეგ პარლამენტი დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტის განხილვას უბრუნდება. „დასკვნა, რომელიც ჩვენ მივიღეთ ვენეციის კომისიისგან, მეორე მოსმენის ფარგლებში უნდა განვიხილოთ დეტალურად საკომიტეტო სხდომაზე და ამ მსჯელობის შედეგად, იმ საკითხებზე, რომლებიც რეკომენდებულია, ვიმსჯელოთ და კონკრეტული საკითხები დავხვეწოთ", - განაცხადა იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა.

* * *

პარტია „საქართველოსთვის" წევრმა, დეპუტატმა მიხეილ დაუშვილმა განაცხადა, რომ დეოლიგარქიზაციის შესახებ „ქართული ოცნების" კანონპროექტი რისკებს შეიცავს და ამის შესახებ საუბარია ვენეციის კომისიის დასკვნაშიც. „კარგი კანონიც ვერ უზრუნველყოფს დეოლიგარქიზაციას - სისტემურ მიდგომაზე მიუთითა ვენეციის კომისიამ, რაც გულისხმობს ძირეული რეფორმების გატარებას სასამართლო, სამართალდამცავი, საარჩევნო და ანტიკორუფციული მიმართულებით", - აღნიშნა დაუშვილმა.

* * *

პარლამენტი არის პოლიტიკური ბრძოლის მნიშვნელოვანი ველი და გადაწყვეტილებები, როგორიც არის ბოიკოტი, თუ არ ემსახურება კონკრეტულ ამოცანას, რომლის მიღწევაც შესაძლებელია ბოიკოტის გზით, არის ბრძოლიდან გაქცევა, - განაცხადა „ლელოს" დეპუტატმა სალომე სამადაშვილმა კოლეგების ბოიკოტთან დაკავშირებით საუბრისას. მისი თქმით, დღეს ოპოზიციამ ქვეყნის ევროპული მომავლისთვის უნდა იბრძოლოს როგორც პარლამენტში, ისე ქუჩასა და საერთაშორისო ასპარეზზე.

მოამზადა
ია შველიძემ

# მთავრობის სხდომა – რეგიონში არსებულ მზარდ ეკონომიკურ ტენდენციებზე

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ მთავრობის მორიგ სხდომაზე რეგიონში არსებულ მზარდ ეკონომიკურ ტენდენციებზე ისაუბრა. 2022 წლის წინასწარი მონაცემებით, აჭარაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 116.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 37%-ით აღემატება*



„ბიზნესსაქმიანობის დადებითი ტენდენცია განპირობებულია იმ სამშვიდობო პოლიტიკით, რომელსაც ატარებს საქართველოს ხელისუფლება. შესაბამისად, ქვეყანა ინარჩუნებს ბიზნესისთვის სტაბილურ გარემოს. ეს არის განმაპირობებელი იმ ნდობისა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორების მხრიდან", - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

ბიზნესსექტორის 2022 წლის IV კვარტალის მონაცემებით, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, ბრუნვა გაზრდილია 20%-ით, გამოშვება - 16%-ით, ხოლო დასაქმება - 8%-ით.

2023 წელს ბათუმი მსოფლიო დონის არაერთი სპორტული ღონისძიების მასპინძელი იქნება. 26 მარტს, საზეიმო ვითარებაში 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის თასი შემოვა. ასევე, ბათუმის სტადიონი უმასპინძლებს ეროვნული ნაკრების მნიშვნელოვან მატჩებს. თორნიკე რიჟვაძემ მოუწოდა უწყებებს, ქალაქის თვითმმართველობებს, ყველა კერძო და საჯარო ორგანიზაციას, რომ მაქსიმალურად მოემზადონ აღნიშნული ღონისძიებებისთვის.

აჭარაში მზარდია ტურიზმის აღდგენის დინამიკა. რეგიონში გასულ წელს დაფიქსირდა 3,5 მლნ-ზე მეტი ტურისტული ვიზიტი. გრძელდება როგორც ქალაქის, ასევე, მთლიანად რეგიონის საერთაშორისო პოზიციონირება ისეთ მნიშვნელოვან გამოფენებზე, როგორებიცაა ბერლინის, მადრიდის, მილანისა და ისრაელის ტურისტული გამოფენები.

ყოველწლიურად იზრდება განათლების ბიუჯეტი, რაც აისახება როგორც საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე, ისე ახალგაზრდების სწავლების დაფინანსებაზე. 2023 წელს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სხვადასხვა პროგრამით 400 სტუდენტს დაუფინანსდება საზღვარგარეთ სწავლა და სტაჟირება. მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, უცხოეთში ახალგაზრდების განათლებისა და სტაჟირების დაფინანსება გაორმაგდება.

აჭარაში მიწის უსასყიდლოდ დამუშავების პროგრამა გრძელდება. მარტის ბოლოდან დაიწყება მიწის სამუშაოები და უსასყიდლოდ დამუშავდება 2200 ჰა სახნავ-სათესი ფართობი.


## ბათუმი წიგნისა და უმაღლესი განათლების პირველ საერთაშორისო გამოფენას მასპინძლობს 2

## «დასავლური მომავალი ხელშეუხებელია» 5

## ვინ მიიღებს მონაწილეობას 9 აპრილს «ენმ»-ის მიერ დაანონსებულ აქციაში? 3

## პედაგოგი, ჟურნალისტი, გიდი ნონა კვასტიანი ფერადი კენჭებით - სარკეებიან სამზერში 6

## სადაც საქმეა, იქ სათქმელიც მეტია 4



ISSN 2720-8702

9 772720 870003



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# ბათუმი წიგნისა და უმაღლესი განათლების პირველ საერთაშორისო გამოფენას მასპინძლობს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

*ხვალ ბათუმი პირველად უმასპინძლებს რეგიონისთვის მნიშვნელოვან გამოფენას, რომელიც სპორტის სასახლეში (მის. ლადო ასათიანის №27) გაიმართება და დასწრება ყველასთვის თავისუფალია*




ბათუმის „წიგნისა და უმაღლესი განათლების პირველი საერთაშორისო გამოფენა „BATUMI BOOK & HIGHER EDUCAT?ON 2023“ საერთაშორისო საგამოფენო კომპანია Expo Batumi-ს ორგანიზებით ჩატარდება და სამ დღეს, 24-26 მარტის ჩათვლით გაგრძელდება. გამოფენის მიზანია წიგნის კითხვის პოპულარიზაცია, საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა. ასევე, დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ, მიიღონ სრული ინფორმაცია სასწავლო პროგრამების, სტიპენდიების, გრანტებისა და სტაჟირების შესახებ.

გამოფენის ფარგლებში ჩატარდება საერთაშორისო კონფერენცია და სხვადასხვა შემეცნებით-გასართობი პროგრამა.

„BATUMI BOOK & HIGHER EDUCAT?ON 2023“-ში მონაწილეობას იღებს 40-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო დაწესებულება, კერძოდ: უმაღლესი სასწავლებლები, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები და ფონდები, წიგნის სადისტრიბუციო კომპანიები, გამომცემლობები, სტამბები, წიგნის მაღაზიები, ჟურნალ-გაზეთები, ქართული კულტურის, უცხოენის ცენტრები.

სულაკაურის გამომცემლობა ფესტივალზე არაერთი ახალი წიგნით დაგხვდებათ, როგორც ქართული, ისე თარგმნილი და საბავშვო ლიტერატურით. გარდა ამისა, სტანდარტულ ფასდაკლებასთან ერთად, TBC-ის სტუდენტური და მოსწავლის ბარათების მფლობელები 30-პროცენტიანი ქეშბექითაც ისარგებლებენ. გამოფენის ფარგლებში გამომცემლობის ორგანიზებით გაიმართება შეხვედრა მწერლებთან - ანა კორძაია-სამადაშვილთან და ზურა ჯიშკარიანთან.

გამოფენაში ასევე მონაწილეობს გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“. მათ სტენდთან დაგხვდებათ „ახალი დროის აპოკრიფები - მცირე პროზა იესო ქრისტეს შესახებ“. კრებულში თავმოყრილია ანატოლ ფრანსის, კარელ ჩაპეკის, ლოურენსის, ტურგენევის, ტოლსტოის, ჰენრიკ სენკევიჩის და სხვა დიდ მწერალთა მოთხრობები იესო ქრისტეს შესახებ.

გამოფენაზე დამთვალიერებლები გაეცნობიან ბსუ-ის პროფესორმასწავლებელთა და მკვლევართა ავტორობით გამოცემულ მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, საგანმანათლებლო პროგრამებსა და სერვისებს. 24 მარტს, 12:35 საათზე საგამოფენო სივრცეში გაიმართება ბსუ-ის პრეზენტაცია, რომელზეც წარმოდგენილი იქნება მათი გაცვლითი პროგრამები და საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროექტები.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ადგილობრივი პროექტების კოორდინატორი გიორგი ბოლქვაძე ისაუბრებს თემაზე: „მოხალისეობა და ახალგაზრდული საქმიანობა“, ხოლო თაზო მჟავანაძე საკუთარ წიგნს „მადლიერება და სიყვარული“ წარადგენს. ეროვნული თავდაცვის აკადემიის პირადი შემადგენლობის სპეციალურ სტენდზე დაინტერესებული პირები მიიღებენ სრულ ინფორმაციას სასწავლო პროგრამების, სტიპენდიების, გაცვლითი პროგრამების და მიღების პირობების შესახებ.

თურქეთის რეჯეფ თაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი გულ მუქერრემ ოზთურქი ამ უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობაზე ისაუბრებს. გამოფენის მონაწილეა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რომლის საგამომცემლო სამსახურის ხელმძღვანელი ლანა გრძელიშვილი „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოცემებს“ წარადგენს...

გამოფენის მხარდამჭერები არიან: აჭარის მთავრობა, აჭარის განათლების, კულტურისა სპორტის სამინისტრო, სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თურქეთის განათლების სამინისტრო, ბათუმის მერია, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა (II), თურქ ბიზნესმენთა (MUSIAD), ქართველ და თურქ ბიზნესმენთა (GURTIAD), საქართველოს ბიზნესასოციაციები (BAG), ბათუმის ავტოტრანსპორტი და სხვადასხვა მედიასაშუალება.

# კიდევ ერთი საცხოვრისი – ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთათვის

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამას მეოთხე საცხოვრისი შეემატა.*

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე პირველ მოადგილე მარი ზანაქიძესთან ერთად, დღეს პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების, ბათუმის სამედიცინო ცენტრ - BMC-ის ექიმებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე მინისტრმა კლინიკის მიერ სამინისტროს მიმდინარე პროგრამების შესრულების შესახებ მოისმინა ინფორმაცია, მედპერსონალთან ერთად განიხილა შესაძლო პროგრამული ცვლილებები და მათ სამომავლო ხედვებს გაეცნო.

„მორიგი სამუშაო შეხვედრა გავმართეთ ბათუმის სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელებთან და ექიმებთან. განვიხილეთ პროგრამების მიმდინარეობა და მის ირგვლივ გამოვლენილი დადებითი და კიდევ უფრო გასაუმჯობესებელი ფაქტორები. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა



სერვისი, რომელსაც სამინისტრო აწვდის ჩვენს მოქალაქეებს, იყოს მაქსიმალურად ეფექტური და მოქნილი. როგორც დავაანონსეთ, წელს ფსიქიკური აშლილობის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამას მეოთხე საცხოვრისი შეემატა. პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 1 576 800 ლარამდე, ხოლო ბენეფიციართა რაოდენობა გახდა 96“, - აღნიშნა შეხვედრაზე მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

პროგრამის მიზანია ფსიქიკური აშლილობის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური მხარდაჭერა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. პაციენტებს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია უტარდებათ მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ შედგენილი ინდივიდუალური ზრუნვის გეგმის შესაბამისად.

პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ 18 წლის და მეტი ასაკის პირები, რომელთაც ფსიქიკური აშლილობის გამო დადგენილი აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, არ აღენიშნებათ სოციალური და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების დეფიციტი და არ აქვთ შესაბამისი მხარდამჭერი გარემო. ბენეფიციარებს მიეწოდებათ სხვადასხვა, მათზე მორგებული 24-საათიანი სერვისი.

# ენერგოკომპანიების მომსახურებასთან დაკავშირებული განცხადებების დაწერა მოქალაქეებს იუსტიციის სახლებშიც შეეძლებათ

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*მომხმარებლებისთვის სერვისების მისაწვდომობის გამარტივების მიზნით, ელექტროენერგიის მიწოდების და განაწილების სექტორში მომსახურების მიღებაზე განაცხადების ჩაბარება, ენერგოკომპანიების მომსახურების ცენტრების გარდა, მთელი საქართველოს მასშტაბით, იუსტიციის სახლებშიც შესაძლებელია. ამის შესახებ ინფორმაციას „ენერგო-პრო ჯორჯია“ ავრცელებს*

მათი ცნობით, იმ მოქალაქეებს, ვისაც აბონენტის დასახელების შესაცვლელად, დავალიანების ან დარიცხული თანხის გადასამოწმებლად, აბონენტის ამონაწერის მისაღებად, სოციალური სტატუსის შესახებ ინფორმაციის დასაზუსტებლად, მრიცხველის შესამოწმებლად, ელექტროენერგიის მოწოდების აღდგენის ან შეწყვეტის, ძაბვის ხარისხის შესამოწმებლად განცხადების დაწერა ენერგოკომპანიის ოფისებში უწევდათ, ამიერიდან შეუძლიათ უახლოეს იუსტიციის სახლს მიმართონ და ადგილზე შეავსონ შესაბამისი განაცხადის ფორმას.



„მომხმარებლის მიერ იუსტიციის სახლში შეტანილი ან შევსებული განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, უმოკლეს ვადაში გადმოეცემა ენერგოკომპანიებს, რის შემდეგაც, განმცხადებლები, ტელეფონზე შეტყობინების სახით, მიიღებენ მათი განაცხადის რეგისტრაციის ნომერს და შემდგომში, ინფორმაციას რეაგირების შესახებ. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მომხმარებლებს შეუძლიათ მიმართონ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ცხელი ხაზის ნომერზე 0322471707 ან ელექტრონულ მისამართზე: info@energo-pro.ge სს „ეპ ჯორჯია მიწოდებას“ ცხელი ხაზის ნომერზე 0322472277 ან ელექტრონულ მისამართზე: info@epgeorgiasupply.ge“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

# აგროგამოფენაზე – „Agriteq 2023“

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

*საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, კატარის დედაქალაქ დოჰაში, საერთაშორისო აგროგამოფენის **„Agriteq 2023“** გახსნის ღონისძიებას დაესწრო. ღონისძიებას, მინისტრთან ერთად, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კატარის სახელმწიფოში ნიკოლოზ რევაზიშვილი და სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი დავით წითლიძე ესწრებოდნენ*

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით და კატარის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, საერთაშორისო გამოფენა **„Agriteq 2023“**-ზე 14 ქართული კომპანიაა წარმოდგენილი, რომლებმაც დამთვალიერებელს საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გააცნეს.

საქართველოს სტენდი კატარის ტრანსპორტის მინისტრმა, კომერციისა და ინდუსტრიის მინისტრმა, მუნიციპალიტეტების მინისტრმა, გარემოსა და კლიმატის ცვლილების მინისტრმა, კატარის ტურიზმის საბჭოსა და ავიახაზების პრეზიდენტმა და სხვადასხვა ქვეყნის ელჩებმა დაათვალიერეს.

საქართველოს სტენდზე წარმოდგენილია ქართული კაკალი, მოცვი, წყალი, მშრალი და სუბლიმირებული ხილი, თაფლი, ორგანული წვენები. პროდუქცია სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. გამოფენის მონაწილე ქართული კომპანიების უმეტესობა სოფლის განვითარების სააგენტოს სახელმწიფო პროგრამების ბენეფიციარია.

„საქართველოსა და გალფის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს, შესაბამისად, უნდა გაიზარდოს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვა. ქართული პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრება ჩვენი პოლიტიკის პრიორიტეტია. ჩვენი მიზანია, მაქსიმალურად გავზარდოთ ქართული აგრარული პროდუქციის ცნობადობა მსოფლიო ბაზარზე, გავხადოთ ის მოთხოვნადი, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელს გახდის, სტაბილურად მზარდი იყოს ექსპორტის მაჩვენებლები. აღსანიშნავია, რომ, ბოლო წლების განმავლობაში, გალფის ქვეყნებში ქართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ინტერესი მზარდია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ, ჩვენი ფერმერების მხარდასაჭერად, მსგავსი ღონისძიებები აქტიურად გაგრძელდეს“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

**„Agriteq“**-ი ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო გამოფენაა, რომელსაც მრავალი ათასი ვიზიტიორი ჰყავს. წელს გამოფენაში მონაწილეობს 52 ქვეყანა და სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი 650-ზე მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია. გამოფენას 20 ათასამდე დამთვალიერებელი ჰყავს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ, ქართული დელეგაციის წევრებთან ერთად, სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, კატარის სახელმწიფოს სტენდები დაათვალიერა და ოფიციალურ პირებს შეხვდა.

# ვინ მიიღებს მონაწილეობას 9 აპრილს „ენმ“-ის მიერ დაანონსებულ აქციაში?

ფიქრია დავლაძე 579 25 25 72

*როგორც ცნობილია, 9 აპრილი საქართველოსთვის ერთდროულად სიამაყის და ტკივილის სიმბოლოდაა ქცეული. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გადაწყვიტა სწორედ ამ დღეს საპროტესტო აქციის გამართვა*







ეს გადაწყვეტილება დაახლოებით ერთი თვით ადრე დაანონსდა. მოთხოვნა ევროკავშირის იმ 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებაა, რომელიც საქართველოს მთავრობამ უმოკლეს ვადაში, კონკრეტულად კი ამა წლის ბოლომდე უნდა განახორციელოს. დაანონსებულ აქციას ოპოზიციის დიდი ნაწილი არ უერთდება. პარტიები - „გირჩი“, „ლელო საქართველოსთვის“, „მოქალაქეები“, „გახარია საქართველოსთვის“ ამ პროცესში მონაწილეობისგან თავს იკავებენ. „მთავრობას უნდა მივცეთ 9 აპრილამდე დრო იმისთვის, რომ ხვალიდან ანახონ საზოგადოებას, რომ ისინი იძულების წესით იწყებენ ამ ყველა რეკომენდაციის შესრულებას“, - აცხადებს ლევან ხაბეიშვილი.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ალექსანდრე მილორავა აქტიურად იყო ჩართული მიმდინარე წლის 7-8 მარტის აქციებშიც. იგი ფიქრობს, რომ ხელისუფლება ყველა ბერკეტს იყენებს, რათა 9 აპრილის აქცია არ განხორციელდეს.

- საქართველოს მოქალაქეების 85%-მა გააკეთა არჩევანი საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე. ასე ახლოს, როგორც დღეს, არასდროს ვყოფილვართ ევროკავშირში გაწევრიანებასთან. კანდიდატის სტატუსის მისაღებად ხელისუფლებამ 12-პუნქტიანი რეკომენდაცია უნდა შეასრულოს. მთავრობა ამას მიზანმიმართულად არ ასრულებს. ამ პუნქტებიდან ყველაზე სწრაფად შესრულებადია პოლიტპატიმრების გათავისუფლება, კონკრეტულად კი ნიკა გვარამიას ციხიდან გამოშვება და საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დასავლურ კლინიკაში სამკურნალოდ გადაყვანა. სწორედ ამით უნდა დაიწყოს ხელისუფლებამ რეკომენდაციების შესრულება და აჩვენოს საზოგადოებას მზადყოფნა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად. 7-9 მარტს საზოგადოების დიდი ნაწილი ქუჩაში გამოვიდა რუსული კანონის წინააღმდეგ, რომლის მიღებაც ევროპულ მომავალს გვისპობდა. 9 აპრილის აქცია ტარდება ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების მოთხოვნით და თუ „ქართული ოცნება“ წავა კანდიდატის სტატუსის მიღების წინააღმდეგ, მაშინ ის მიიღებს ხალხის იმაზე დიდ რისხვას, ვიდრე ეს იყო 7-9 მარტს, - გვითხრა ალექსანდრე მილორავამ.

„გირჩის“ ლიდერ იაგო ხვიჩიას განცხადებით, „ნაციონალურ მოძრაობას“ 9 აპრილისთვის აქციის დაანონსებით სურს თქვას, რომ ეროვნული მოძრაობის გამგრძელებელია.

- „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 9 აპრილს აქციის გამართვა მცდელობაა, თქვან, რომ თავად არიან იმ დიდი საქმის გამგრძელებლები, რომელსაც ეროვნული მოძრაობა ჰქვია. მგონია, ამ ქვეყნის მიტინგების ისტორიაში 9 აპრილი გმირების დღეა და მე ვერ გავბედავდი, 9 აპრილს რაიმე აქცია დამეგეგმა, „ნაცმოძრაობა“ კი ბედავს იმიტომ, რომ გამბედავები არიან. ვფიქრობ, რომ არ უნდა დაემთხვიათ ამ დღისთვის აქციის გამართვა, - განაცხადა იაგო ხვიჩიამ.

მმართველი გუნდისთვის გაუგებარია იმ ბრიფინგის შინაარსი, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გამართა. ცოტნე ანანიძის თქმით, სწორედ ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის ინტერესებშია ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი ჩვენმა ქვეყანამ ვერ მიიღოს.

- რა არის აქციის მოტივი? - ბევრი ადამიანისთვის გაუგებარია, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისთვისაც. ბრიფინგი, რომელიც ჩაატარა ლევან ხაბეიშვილმა და რა გზავნილებიც გააჟღერა, საქართველოს მოსახლეობისთვის გაუგებარი იყო. მათ სურთ მარტის დასაწყისში გამართული აქციების, სადაც მოქალაქეების აქტიური ჩართულობა დაფიქსირდა, მუხტის გამოყენება და კიდევ უფრო გაღვივება. ოპოზიციის ნაწილისთვის, პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველია კანდიდატის სტატუსზე უარი მივიღოთ და ეს იყოს ხელისუფლებასთან დაპირისპირების შესაძლებლობა. ეს მათი პოლიტიკური დღის წესრიგში შედის და მათთვის, ვინც მეტ-ნაკლებად დაინტერესებულია პოლიტიკით, საკმაოდ მარტივად მისახვედრია. ჩემი აზრით, ძალიან ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ოპოზიციის ნაწილი სწორედ დაინტერესებულია იმით, რომ კანდიდატის სტატუსი ვერ მივიღოთ, რაც სახელმწიფოებრივ ინტერესში, ცხადია, არ შედის, - გვითხრა აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძემ.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აჭარის ორგანიზაციაში აქციასთან დაკავშირებით ერთიან პოზიციას არ აფიქსირებენ. ენმ-ის წევრი მირდატ ქამადაძე სოციალურ ქსელში წერს, რომ პარტიის თავმჯდომარის განცხადება მკაფიო და ყველასთვის გასაგები უნდა იყოს. გაურკვეველია გიორგი კირთაძის პოზიციაც, მან გაზეთ „აჭარასთან“ ამ თემაზე საუბარს თავი აარიდა: ჩვენს შეკითხვაზე, მიიღებს თუ არა ამ აქციაში მონაწილეობას? - ერთი წინადადებით შემოიფარგლა: „მონაწილეობას მივიღებ, ოღონდ - დისტანციურად“.

## უკრაინა

რუსეთის მიერ ოკუპირებულ ყირიმში, ქალაქ ჯანკოიში რუსული ფრთოსანი რაკეტები გაანადგურეს, - ინფორმაციას უკრაინული მედია უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მთავარ სადაზვერვო სამმართველოზე დაყრდნობით ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, ქალაქ ჯანკოიში რუსული „კალიბრის“ ტიპის ფრთოსანი რაკეტები მაშინ გაანადგურეს, როდესაც ოკუპანტები მათ სარკინიგზო ტრანსპორტირებას ახორციელებდნენ. „იდუმალი „ბავოვნა“ აგრძელებს რუსეთის დემილიტარიზაციის პროცესს და ამზადებს უკრაინის ნახევარკუნძულს, ყირიმს დეოკუპაციისთვის“, - აცხადებენ უკრაინის სამხედრო დაზვერვაში. უკრაინის სამხედრო დაზვერვაში განმარტავენ, რომ საუბარია რაკეტებზე, რომლებიც განკუთვნილია რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ხომალდებიდან გაშვებისთვის. ასეთი იარაღის განადგურების დიაპაზონი 2500 ათას კილომეტრზე მეტია სახმელეთო სამიზნეებისთვის და 375 კილომეტრზე მეტი - საზღვაო სამიზნეებისთვის.

* * *

ჩვენ ერთად ვუბრუნებთ უკრაინას უკრაინას, ჩვენ ერთად ვიცავთ ჩვენს მომავალს, ღირსებას, თავისუფლებასა და ისტორიას, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა. მისი თქმით, უკრაინა წარმატებებს მიაღწევს დონბასისთვის გმირულ ბრძოლაში, სამხრეთში, რაც აღადგენს ნორმალურ უკრაინულ ცხოვრებას აზოვის რეგიონში, ყირიმის დაბრუნებაში, საიდანაც „უკვე დაიწყო ტერორისტული სახელმწიფოს ყველაზე შორსმჭვრეტელი ვირთხების მიგრაცია“. „უკრაინის გამარჯვებისადმი ჩვენი ნდობა, ჩვენი ხედვა ჩვენი ქვეყნის თავისუფალი მომავლის შესახებ, უკრაინული გმირობა, რომელმაც გააოცა მსოფლიო - ეს ყველაფერი იქ დაიბადა: უკრაინის ჩრდილოეთის, უკრაინის აღმოსავლეთისა და უკრაინის სამხრეთის გმირულ ქალაქებში. გმირების ქალაქებში, რომელთა ხასიათი არც ერთი წამით არ დაემორჩილა ოკუპანტს, მაშინაც კი, როცა ოკუპანტი მათ სახლებში მოვიდა. ჩვენ ერთად ვუბრუნებთ უკრაინას უკრაინას. ჩვენ ერთად ვიცავთ ჩვენს მომავალს, ჩვენს ღირსებას, ჩვენს თავისუფლებას და ჩვენს ისტორიას“, - განაცხადა ზელენსკიმ.

* * *

კიევში, უპილოტო საფრენი აპარატებით თავდასხმის განხორციელების საფრთხის გამო, საჰაერო განგაში გამოცხადდა. ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. კიევის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციაში განაცხადეს, რომ დრონებით თავდასხმის საფრთხის გამო ოლქის საჰაერო თავდაცვის ძალები მზადყოფნაში არიან. კიევის გარდა, განგაში გამოცხადდა ჩერნიგოვის, პოლტავის, ჩერკასის, ჟიტომირის, სუმის, რივნის, ხმელნიცკის, დნეპროპეტროვსკის, ტერნოპოლის, ზაპოროჟიეს, დონეცკისა და კიროვოგრადის ოლქებში. გავრცელდა ინფორმაცია, რომ განგაშის დროს ხმელნიცკში აფეთქებების ხმა ისმოდა.

* * *

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი კარიმ ხანი აცხადებს, რომ რუსეთის ფედერაცია ბავშვებს, როგორც ომის ნადავლს, ისე ექცევა. „თქვენ უნდა იზრუნოთ მათზე. თუ უსაფრთხოდ არ არიან, უნდა გადაიყვანოთ უკრაინის უსაფრთხო ნაწილში, თუ ეს შეუძლებელია, ნეიტრალურ მესამე ქვეყანაში. რასაც ჩვენ ვხედავთ, არ არის. უბრალოდ დეპორტაცია რუსეთის ფედერაციაში, მათ ხვდებიან უცნობები, რომლებიც მოულოდნელად მათი მშვილებლები ხდებიან. ბავშვები არ არიან საკუთრება და არც ომის ნადავლი“, - აღნიშნა ხანმა. მან განმარტა, რომ ჟენევის კონვენციების რომის წესდება მშვიდობიანი მოქალაქეების სხვა ქვეყანაში დეპორტაციას კრძალავს. შეგახსენებთ, გასულ კვირაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისა და ბავშვთა უფლებების საკითხებში რუსეთის კომისარ მარია ლვოვა-ბელოვას დაპატიმრების ორდერები გასცა, უკრაინელი ბავშვების რუსეთში უკანონო დეპორტაციაში მათი როლის გამო.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი დონეცკის რეგიონში ჩავიდა, სადაც ბახმუტის დამცველები დააჯილდოვა. უკრაინის პრეზიდენტის ოფისი ზელენსკის ვიზიტის ამსახველ კადრებს ავრცელებს. „ჩემთვის პატივია დღეს აქ ყოფნა, ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში, დონბასში. პატივია დავაჯილდოო ჩვენი გმირები - მადლობა გადაგიხადოთ, ხელი ჩამოგართვათ. მადლობა სახელმწიფოს, სუვერენიტეტისა და უკრაინის აღმოსავლეთის დაცვისთვის“, - განაცხადა ზელენსკიმ.

* * *

შეერთებულ შტატებში მყოფი უკრაინელი სამხედროები Patriot-ის საჰაერო თავდაცვის სისტემებზე წვრთნას უახლოეს დღეებში დაასრულებენ. ამის შესახებ ინფორმაცია 21 მარტს პენტაგონის ოფიციალურ პირზე დაყრდნობით „ამერიკის ხმამ“ გაავრცელა. მათივე ცნობით, წვრთნების დასრულების შემდეგ უკრაინელი სამხედროები ევროპაში გაემგზავრებიან, რათა უკრაინის შეიარაღებული ძალების სხვა ჯგუფებთან ერთად დასკვნითი წვრთნები გაიარონ. გამოცემის თანამოსაუბრემ აღნიშნა, რომ ამერიკული საზენიტო-სარაკეტო სისტემები უკრაინაში „მომავალი კვირებში“ ჩავა. „ამერიკის ხმის“ უკრაინული გამოცემის ჟურნალისტმა ოსტაპ იარიშმა, რომელიც ოკლაჰომაში ფორტ სილის სამხედრო ბაზას ეწვია, ასევე თქვა, რომ უახლოეს კვირებში უკრაინის ცის დაცვას Patriot-ის ორი ბატარეა დაიწყებს.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძე

## უცხოეთი

მოსკოვში ჩინეთის ლიდერის სამდღიანი ვიზიტი დასრულდა. სი ძინპინი ვლადიმერ პუტინს შეხვდა. ვიზიტს აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სტრატეგიული კომუნიკაციების კოორდინატორი ჯონ კირბი გამოეხმაურა. „ჩინეთს აქვს ძალიან ძლიერი ეკონომიკა და დიდი გავლენა მსოფლიოში. მის ინტერესებში არ უნდა შედიოდეს ამ გავლენის გამოყენება იმისთვის, რომ პუტინს კიდევ უფრო მეტი უკრაინელის მოკვლაში დაეხმარონ. რაც შეეხება რუსეთში სი ძინპინის ვიზიტის შეფასებას, ჯერჯერობით ვერ დავინახეთ ისეთი რამ, რაც დაგვაიმედებდა, რომ ომი შეიძლება მალე დასრულდეს“, - განაცხადა მან. აღსანიშნავია, რომ პუტინის პრესმდივნის განცხადებით, რუსეთს სურს მოლაპარაკებების დაწყება, მაგრამ დასავლეთი და უკრაინა ამაზე უარს ამბობენ. კირბი აღნიშნულსაც გამოეხმაურა და განცხადებას სრული სიცრუე უწოდა.

* * *

ჩინეთის სამშვიდობო გეგმის ბევრი პუნქტი შეიძლება გახდეს უკრაინაში კონფლიქტის დარეგულირების საფუძველი, როდესაც დასავლეთი და კიევი მზად იქნებიან ამისთვის, - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ჩინეთის ლიდერ სი ძინპინთან შეხვედრაზე. როგორც ცნობილია, 24 თებერვალს, ოფიციალურმა პეკინმა უკრაინაში კრიზისის პოლიტიკური დარეგულირების მიზნით 12-პუნქტიანი გეგმა გამოაქვეყნა, რომელიც მოიცავს ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის პატივისცემას, ცივი ომის მენტალიტეტზე უარის თქმას, საომარი მოქმედებების შეწყვეტას, სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლებას, ატომური ელექტროსადგურების დაცვას, ცალმხრივი სანქციების შეჩერებას, პოსტკონფლიქტური აღდგენის ხელშეწყობას და სხვა.

* * *

ბრბოს არ აქვს ლეგიტიმაცია იმ ხალხის მიმართ, რომელიც გამოხატავს საკუთარ სუვერენულობას არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით. ბრბო ვერ გადაწონის ხალხის წარმომადგენლებს, - ასე გამოეხმაურა საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო აქციებს, რომელიც სადავო საპენსიო რეფორმის პარლამენტში კენჭისყრის გარეშე მიღებას მოჰყვა. საპარლამენტო უმრავლესობის წევრების წინაშე სიტყვით გამოსვლისას საფრანგეთის ლიდერმა აღნიშნა, რომ დემოკრატიის პირობებში კანონის ტექსტი არალეგიტიმური ვერ იქნება იმის გამო, რომ ცოტა ხმა მიიღო. „ჩვენი კურსი მკაფიოა. უნდა უზრუნველვყოთ დემოკრატიული და რესპუბლიკური წესრიგი, წესრიგი, რომელიც აქვს დაბალანსებულ საზოგადოებას, სადაც ინსტიტუტებია საფუძველი“, - განაცხადა მან.

* * *

პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მატეუშ მორავეცკიმ წარმოადგინა თავისი ხედვა ევროპის მომავლის შესახებ. „ევროპული ფასეულობების“ მათრახით სხვების გაროზგვა იმის გამო, რომ არ ეთანხმები მათ განმარტებას ან არ გესმის, რა ცვლილებები უნდა განახორციელონ კონკრეტულმა ქვეყნებმა, თვითდესტრუქციულია ევროკავშირისთვის“, - აღნიშნა მან და დასძინა, რომ „თუ ევროკავშირის ცალკეული ქვეყნები სხვებზე დომინირებას შეეცდებიან, ევროპა შესაძლოა, წარსულის შეცდომების მსხვერპლი გახდეს“.

მოამზადა
ია შველიძე

# სადაც საქმეა, იქ სათქმელიც მეტია

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***ხულოს მუნიციპალიტეტის მერიაში მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა გაიმართა. სხდომაზე ხულოს მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილები შეიტანეს და ხულოს მუნიციპალიტეტის მერ ვახტანგ ბერიძის მიერ შარშან გაწეული მუშაობის ანგარიში მოისმინეს***



ითქვა, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 20 385 146 ლარის ოდენობით, შესრულებამ - საკასო ხარჯმა შეადგინა 19 650 188 ლარი.

საგადასახადო შემოსავლები დაზუსტებული გეგმით შეადგენდა 8 840 000 ლარს, ხოლო ფაქტობრივმა შემოსავალმა შეადგინა 8 925 839 ლარი. არასაგადასახადო შემოსავლები დაზუსტებული გეგმით შეადგენდა 274 000 ლარს, ფაქტიობრივმა შემოსავალმა შეადგინა 340 704 ლარი. აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური ტრანსფერი დაზუსტებული გეგმით შეადგენდა 6 500 000 ლარს, ფაქტობრივმა შემოსავალმა შეადგინა 6 049 078. სპეციალური ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან შეადგენდა 1 917 059 ლარს.

მუნიციპალიტეტის შარშანდელ ბიუჯეტში გადასახდელების ნაწილში დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 19 383 375 ლარს, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 15 935 644 ლარი. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ მობილიზებული იყო 1 000 000 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამსახური საქმიანობდა შემდეგი ძირითადი მიმართულებით: პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელება, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაგეგმილი პროექტის განხორციელება, სამსახურის მიერ დაგეგმილი სხვადასხვა პროგრამის განხორციელება, მიმდინარე პროექტების და პროგრამების განხორციელებაზე ტექნიკური ზედამხედველობა, მუნიციპალური ქონების მართვა, სამსახურში შემოსული კორესპონდენციის განხილვა-შესრულება, მერის ბრძანებით შექმნილ სხვადასხვა კომისიაში სამსახურის თანამშრომლების ჩართულობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამუშაოების შესრულება. დაიგეგმა 87 ინფრასტრუქტურული ღონისძიება, რომელთა საპროექტო ღირებულება, საერთო ჯამში, შეადგენდა 9 246 000 ლარს. დასრულდა 79 ღონისძიება.

მერიის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის განყოფილების ძირითადი ამოცანაა მუნიციპალური ქონებისა და მიწის ფონდის აღრიცხვა, შემოსულ განცხადებებსა და კორესპონდენციებზე არგუმენტირებული პასუხების გაცემა, ქონების გადმოცემის, განკარგვისა და მასთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციული საკითხის მოგვარება, ბუნებრივი რესურსების ათვისება-გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმეებზე დროული რეაგირება დაშვებული ფონდის ფარგლებში და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (დაბასა და მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში) ფიზიკური და იურიდიული პირებისგან დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების ორგანიზება.

წლის დასაწყისიდან განყოფილების მიერ შემუშავდა და პროექტების სახით საკრებულოს წარედგინა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთების შესახებ მასალები. რიგი ობიექტების ღირებულების დასადგენად მომზადდა მასალები აუდიტორული დასკვნისათვის. მომზადდა და აუქციონის წესით განიკარგა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ჩაოს ადმინისტრაციული შენობა. ერთი ერთეული უძრავი ქონება - დიდაჭარის ადმინისტრაციული შენობა (დაშლილ-დასაწყობებული) გადაეცა სოციალურად შეჭირვებულ მოქალაქეს - ლევან წულუკიძეს. მიმდინარეობს ბეღლეთის ყოფილი ადმინისტრაციული შენობის აუქციონის ფორმით განკარგვის სამუშაოები. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოდან მიღებულია თანხმობა ქონების მოძრაობასთან დაკავშირებით. გარდა აღნიშნულისა, სოფლის პროგრამით და პრიორიტეტებით გათვალისწინებული ობიექტის მშენებლობისათვის შერჩეულ მიწის ნაკვეთებზე დამზადდა 21 საკადასტრო აზომვითი ნახაზი და შესაბამისად მოხდა მათი რეგისტრაცია. მომზადდა სარწყავი არხების (მანიაკეთის 3 ერთეული არხი) სარეგისტრაციო სამუშაოები სასოფლო სარწყავი არხების დარეგისტრირება-გადაცემისთვის. მიწის დავებზე შემოსულია 226 განცხადება-საჩივარი. პოლიციის ხულოს რაიონული სამმართველოდან ქვემდებარეობით შემოსულია 9 განცხადება სადავო მიწის საკითხების განსახილველად.

2022 წლის 10 თვის მონაცემებით, ბუნებრივი რესურსების კუთხით, ხულოს სატყეო ადმინისტრაციაში გადაიგზავნა 2500 კუბური მეტრი პირველი ხარისხის სამასალე ხე-ტყის მოსახლეობაზე განაწილების მასალები. შარშან მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი თავდაპირველად შეადგენდა 17 664 100 ლარს, ხოლო შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებული თანხა - 794 480 ლარს. ადგილობრივი ბიუჯეტი საბოლოოდ განისაზღვრა 20 385 146 ლარით, ხოლო შესყიდვების გეგმის ჯამურმა თანხამ შეადგინა 12 092 226 ლარი, ორწლიანი შესყიდვების ჩათვლით. 2022 წელს განხორციელებული შესყიდვების შედეგად სულ გაფორმებულია 265 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 10, 614 876 ლარს. აქედან, ელექტრონული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 177 ხელშეკრულება, კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით - 25, ხოლო გამარტივებული შესყიდვით - 63 ხელშეკრულება.

როცა მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურზე მიდგა ჯერი, ითქვა, რომ საანგარიშო პერიოდში შეისწავლეს ობიექტების მშენებლობა-რეკონსტრუქციის ნებართვის, ადრე მშენებლობაზე გაცემული ნებართვების ვადის გაგრძელების, პირველი კლასის შენობა-ნაგებობებზე თანხმობის, მიწის ნაკვეთების გაყოფაზე ან გაერთიანებაზე თანხმობის მისაღებად სხვადასხვა სახის შუამდგომლობების აღძვრის საკითხები. მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო 798 განცხადება. 21 ობიექტზე გაცემულია მშენებლობის ნებართვა; 2 ობიექტზე გაგრძელდა ადრე გაცემული მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა; 2 ობიექტზე უარი ეთქვა განმცხადებელს ადრე გაცემული მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე; 3 ობიექტზე დამტკიცებულია არქიტექტურულ-დაგეგმარებითი დავალება; 16 პირველი კლასის ობიექტზე გაიცა თანხმობა მშენებლობის ან სხვა სამუშაოების წარმოებაზე; 3 პირველი კლასის ობიექტის შემთხვევაში უარი ითქვა მშენებლობის ან/და სხვა სამუშაოების წარმოებაზე; 6 ობიექტზე განმცხადებლებს დაენიშნათ ხარვეზი; 13 განმცხადებელს სხვადასხვა მიზეზის გამო უარი ეთქვა მშენებლობის ნებართვაზე, რეკლამაზე და სხვა; 23 თანხმობა გაიცა მიწის გაყოფაზე ან გაერთიანებაზე; 9 განმცხადებელს უარი ეთქვა მიწის გაყოფაზე ან გაერთიანებაზე; 18 განცხადებაზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

საანგარიშო პერიოდში აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, სამსახურის ჩართულობით, მომზადდა: სოფელ ზემო თხილვანის მახლობლად, ხიხანის ციხის ახლოს არსებულ ტერიტორიაზე - განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია (დავალება); ხულოს მუნიციპალიტეტის დაბა ხულოს ცენტრალური ნაწილის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია (დავალება); ხულოს მუნიციპალიტეტის კურორტ გოდერძის ახლოს არსებულ ტერიტორიაზე - განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია (დავალება).

მიმდინარე პერიოდისათვის აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, სამსახურის ჩართულობით, მზადდება და მომავალი წლისთვის იგეგმება ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კურორტ ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით) - გოდერძის უღელტეხილის არეალის გენერალური გეგმისა და ამ არეალში მოქცეული სამი ერთეული ტერიტორიის - კურორტ ბეშუმის, შქერნალის უბნის და გოდერძის უღელტეხილის განაშენიანების დეტალური გეგმების, კურორტ ბეშუმის სანიტარიული დაცვის ზონის დოკუმენტაციის შემუშავების და სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის ტერიტორიაზე თემატური გამოფენა-ბაზრობის, ავტოსადგურისა და ავტოპარკინგის მოწყობისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის დასრულება. აღსანიშნავია, რომ უკვე მომზადებულია და უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ელექტრონული კონკურსი კურორტ გოდერძის ტერიტორიაზე თემატური გამოფენა-ბაზრობის, ავტოსადგურისა და ავტოპარკინგის მოწყობისთვის სამუშაოების შესყიდვაზე.

მერიის ზედამხედველობის სამსახური ახორციელებდა სახელმწიფო ზედამხედველობას ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზე, ადგილობრივი თვითმმართველობისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

სამსახურის თანამშრომლები კონტროლს აწესებდნენ ხულოს ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე. აღირიცხა უნებართვო და სანებართვო პირობების დარღვევით მშენებლობის 58 ფაქტი. თითოეულ მათგანზე გატარებულია კანონის შესაბამისი ღონისძიებები.

კურორტ გოდერძიზე ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სახის სამშენებლო სამართალდარღვევებს, კერძოდ, უნებართვო მშენებლობის 6 ფაქტი, სანებართვო პირობების დარღვევის 2 ფაქტი, მიმდებარედ მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების 3 ფაქტი გამოავლინეს, თითოეულ მათგანზე გატარებულია კანონის შესაბამისი ღონისძიებები. კურორტ ბეშუმისა და მის მიმდებარედ იაილებში ადგილი აქვს სეზონური საცხოვრებელი სახლების უნებართვო მშენებლობებს. სულ 43 ფაქტია გამოვლენილი, ამათგან 27 ფაქტი დაფიქსირებულია ტყის ფონდის ტერიტორიაზე, ერთი ფაქტი - ბეშუმში, ხოლო დანარჩენი - ბეშუმის მიმდებარე იაილებში (ძირითადად, დიდი იაილა, კატრიძირი, გოდერძის გადასასვლელი).

> ***„სამსახურის თანამშრომლები კონტროლს აწესებდნენ ხულოს ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე. აღირიცხა უნებართვო და სანებართვო პირობების დარღვევით მშენებლობის 58 ფაქტი. თითოეულ მათგანზე გატარებულია კანონის შესაბამისი ღონისძიებები***

მიმდინარეობდა მონიტორინგი დაბის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ასფალტ-ბეტონის საფარის დაზიანების, სატრანსპორტო საშუალებების დგომის წესების დაცვაზე.

გასული წლის დასაწყისისთვის საკრებულომ მოამზადა და დაამტკიცა 12 მიზნობრივი პროგრამა. მიზნობრივ-სოციალური პროგრამებით გაწეული ხარჯები: დაგეგმილი იყო 1 337 499 ლარი, გახარჯულია 1 337 490 ლარი

ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისთვის, სადღესასწაულო დღეების ორგანიზების და მატერიალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, განსაზღვრული იყო 24 600 ლარი, გაიხარჯა 24 600 ლარი. მრავალშვილიან ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული იყო 132 000 ლარი. დახმარება გაეწია 118 ოჯახს და გაიხარჯა 118 000 ლარი. სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია 49 842 ლარი, ყოველდღიურად სადილობდა 50 ბენეფიციარი, გაიხარჯა 49 842 ლარი. უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დაკრძალვისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული იყო 50 000 ლარი. დახმარება გაეწია 125 ოჯახს, დაიხარჯა 50 000 ლარი. დიალიზის პროგრამაში ჩართული ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ტრანსპორტირების მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, განსაზღვრული იყო 72 700 ლარი. დახმარება გაეწია 23 ბენეფიციარს. სულ დაიხარჯა 72 700 ლარი. ონკოლოგიურ და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებული დაავადებების და მძიმე ტრავმული დაზიანებების მქონე სოციალურად შეჭირვებულ პირთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, გათვალისწინებული იყო 90 000 ლარი. დახმარება გაეწია 656 ოჯახს და გაიხარჯა 90 000 ლარი. ცერებრალური დამბლით და ადრეული განვითარების პროგრამაში ჩართულ ბავშვთა რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხარჯების საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფის პროგრამა, რომლის ფარგლებში განსაზღვრული იყო 94 157 ლარი, დახმარება გაეწია 50 ოჯახს და დაიხარჯა 94 150 ლარი.

მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებზე მობილური გუნდით მომსახურების პროგრამით, რომლისთვისაც განსაზღვრული იყო 88 800 ლარი, დახმარება გაეწია 51-მდე პირს და გაიხარჯა 88 800 ლარი. მოვლის საჭიროების მქონე შშმ პირებისათვის ყოველთვიური ფინანსური დახმარებისათვის განსაზღვრული იყო 88 400 ლარი, გაიხარჯა 88 400 ლარი - 174 ბენეფიციარზე. მუნიციპალიტეტში ავარიული სახლების მქონე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ხელშეწყობისთვის განსაზღვრული იყო 181 000 ლარი, გაიხარჯა 181 000 ლარი (12 ოჯახი). მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფაზე გამოყოფილი იყო 460 000 ლარი, გაიხარჯა 459 993 ლარი - 2307 ბენეფიციარზე. წითელი ჯვრის დაფინანსებისათვის გამოყოფილი იყო 20 000 ლარი და გაიხარჯა სრულად. შუამდგომლობა აჭარის ჯანდაცვის სამინისტროში გაეწია 58 ოჯახს, აჭარის მთავრობაში - 290 ოჯახს.

სამედიცინო დახმარებისათვის სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 58 240 ლარი, დახმარება გაეწია 182 ოჯახს. ასევე დახმარება გაეწიათ სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს. ახლა ხულოში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსით სარგებლობს 20 016 მოქალაქე. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი მიენიჭა 130 მოქალაქეს. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებაზე უარი ეთქვა 22 მოქალაქეს. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი რეესტრის საფუძველზე შეუწყდა 623 მოქალაქეს. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი აღუდგა 5 მოქალაქეს. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის ცნობა გაიცა 930 მოქალაქეზე.

განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახურის მიერ პროგრამების განხორციელებისათვის გახარჯულია 232 499.21 ლარი. კერძოდ: კულტურულ ღონისძიებათა მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის გახარჯული თანხის რაოდენობამ შეადგინა 90 607,91 ლარი, ჩატარდა 35 ღონისძიება. სპორტულ ღონისძიებათა მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების მიმართულებით ჩატარდა 68 ღონისძიება და გაიხარჯა 121 923.37 ლარი, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით - 7 ღონისძიება. გახარჯულია 9 994 29 ლარი; ახალგაზრდობის სამოქალაქო საქმიანობაში ჩართულობისა და ხელშეწყობის პროგრამით - 10 ღონისძიება და გახარჯულია 9 973,64 ლარი. მერის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში საუბარი იყო მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მუშაობაზე. რეზევისტებთან და წვევამდელებთან, რომლებიც რეგისტრირებული არიან ხულოს მუნიციპალიტეტში და ცხოვრობენ საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში, წლის განმავლობაში სისტემატურად მიმდინარეობს მიმოწერა და არის სატელეფონო კავშირი საცხოვრებელი ადგილის დაზუსტების მიზნით. ისინი, საჭიროების შემთხვევაში, გამოძახებული იქნებიან სარეზერვო ბატალიონში და სავალდებულო

იხ. მე-7 გვ.

# „დასავლური მომავალი ხელშეუხებელია“

**ლაშა ხომერიკი 593 50 82 69**

*ყველაზე დიდი საფრთხე ჩვენი ქვეყნისთვის, რუსულ ოკუპაციასთან ერთად, არასტაბილური პოლიტიკური გარემო და არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობაა, რომელსაც, თუ არ დავძლევთ, ყოველთვის მოჰყვება სხვა საფრთხეებიც, რაც არაერთხელ დადასტურდა, ისიც ცხადია, რომ საქართველოს საშინაო ვითარება მკვეთრად აისახება საზოგადოების და თითოეული ადამიანის განვითარებაზე, რის გასაუმჯობესებლადაც ბევრი რამაა გასაკეთებელი. აქედან გამომდინარე, ისმის არაერთი კითხვა: რა ცხადყო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“კანონპროექტთან დაკავშირებულმა მიტინგებმა, პრეზიდენტ ზურაბიშვილის ანტისამთავრობო გზავნილები რისი მანიშნებელია? ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მოგვენიჭება თუ არა? - ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე თავის თვალსაზრისს „ლელო საქართველოსთვის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი და ბათუმის საკრებულოს წევრი* ***ვაჟა დარჩია*** *გვიზიარებს.*

**- ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე ვისაუბროთ, თქვენთვის რა საკითხები იყო აქტუალური?**

- ბოლო პერიოდი ქართული პოლიტიკისთვის განსაკუთრებით ცხელი აღმოჩნდა. სამი დღე გადაჭედილი იყო რუსთაველის პროსპექტი პროტესტანტებით. ეს იყო პროცესი, რომელმაც დაადასტურა, რომ ახალგაზრდები არ შეეგუებიან არაფერ რუსულს. თაობამ, რომელიც დაიბადა დამოუკიდებელ საქართველოში, ყველაზე კარგად იცის, რომ რუსეთი არის ოკუპანტი. რუსეთის პრეზიდენტი დღეს უკვე ოფიციალურადაა შერაცხული ომის დამნაშავედ ჰააგის ტრიბუნალის მიერ. ბოლოდროინდელმა პროცესმა დამანახა, რომ ახალი თაობა ჩვენი ქვეყნისთვის დასავლურ გზას აუცილებლობად მიიჩნევს და როგორც კი ხელისუფლება ამ გზას გადაუხვევს, ახალგაზრდებს სენსორული რეაქცია ექნებათ და ხელისუფლებას ყოველთვის მოუწევს უკან დახევა, როგორც ეს მოხდა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების შემთხვევაში.

**- რატომ იყო „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული კანონპროექტი ოპოზიციისთვის მიუღებელი?**

- ზემოაღნიშნული კანონპროექტი ემსახურებოდა იმას, რომ ხელისუფლებას ჰქონოდა ჩვენი პარტნიორების შეზღუდვის კანონიერი ინსტრუმენტები თითქოსდა გამჭვირვალობის მოტივით. თუ ორგანიზაცია 20 პროცენტზე მეტ შემოსავალს იღებდა უცხოეთიდან, ის უნდა დარეგისტრირებულიყო უცხოური გავლენის აგენტად. გარდა ამისა, ხელისუფლება ამ კანონით იტოვებდა შესაძლებლობას, რომ წელიწადში ორჯერ მონიტორინგს გაუწევდა ამ ორგანიზაციებს. ყველა დასავლური ორგანიზაცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მუშაობს, არის მაქსიმალურად გამჭვირვალე, კომპიუტერის ელემენტარულ დონეზე ცოდნა საკმარისია, რომ დაინტერესებულმა პირმა მიიღოს ინფორმაცია მისი თითოეული თეთრის დახარჯვის შესახებ, შესაბამისად, პრობლემა ამ მიმართებით არ არსებობს. მონიტორინგის შესახებ ეს პუნქტი სწორედ იმის გამოვლინებაა, რომ ხელისუფლება ქმნიდა ინსტრუმენტს, რითაც შეძლებდა კონკრეტული ორგანიზაციების გაშავებას და მათ დისკრედიტირებას კანონის ჩარჩოში. ასეთი კანონი მიიღო პუტინმა. ხელისუფლება რომ საუბრობს აშშ-სა და კანადაზე, იქ სრულიად სხვა კონტექსტია და საუბარია მტრულ სახელმწიფოებზე. გარდა ამისა, კანადაში ჯერ ამ კანონის ირგვლივ საჯარო განხილვები მიმდინარეობს, პროცესი საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით მიდის და არა ისე, როგორც ამას ჩვენი ხელისუფლება ცდილობდა. ეს კანონპროექტი მიუღებელი იყო არა ოპოზიციისთვის, არამედ ჩვენი დასავლური მომავლისთვის და ამაზე ყველა ჩვენი პარტნიორი ღიად საუბრობდა. საბედნიეროდ, ხელისუფლებას ქართულმა საზოგადოებამ ღიად უთხრა, რომ დასავლური მომავალი ხელშეუხებელია და მიხარია, რომ ამ ბრძოლის ავანგარდში ახალგაზრდა თაობა ჩადგა.



*„ ეს უნდობლობა სამართლიანად მიმაჩნია, ახალგაზრდა თაობა დაიღალა უცვლელი პოლიტიკოსების ყურებით. ჩემი და ჩემი თანამებრძოლების პოლიტიკურ პროცესში ჩართვაც სწორედ იმას ემსახურებოდა, რომ ახალგაზრდებს დავუბრუნოთ პოლიტიკური პროცესებისადმი ნდობა. დღეს, საბედნიეროდ, ეს დაწყებულია. უამრავი ახალგაზრდა პოლიტიკოსია, რომელიც აპირებს ამ ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის ბრძოლას იმ უპირატესობების გამოყენებით, რაც ჩვენს თაობას აქვს*

**- მმართველი პარტია აცხადებს, რომ მოსახლეობა და ახალგაზრდობა ოპოზიციამ შეცდომაში შეიყვანა. აქედან გამომდინარე, ისინი მოსახლეობასთან შეხვედრებს გამართავენ ამ კანონპროექტის უკეთ გასაცნობად, რას ფიქრობთ?**

- წარმოუდგენლად მენტორული ტონია საკუთარი მოსახლეობის მიმართ. ეს კანონპროექტის გაწვევის შემდეგ კი არა, მის მიღებამდე უნდა გაეკეთებინა ხელისუფლებას, თუმცა ცხადია, რომ წინასწარ იცოდნენ საზოგადოების პასუხი ამ კანონპროექტზე და შეეცადნენ, დაჩქარებული წესით მიეღოთ. შედეგი კი ისაა, რომ ნახეს, სამოქალაქო საზოგადოება ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს და მიუხედავად მისი ათასნაირად დისკრედიტაციისა, ის ყოველთვის იქნება ამ ქვეყნის დასავლური მომავლის სადარაჯოზე.

**- ექსპერტები აცხადებენ, გამართულმა მიტინგებმა ისიც გვაჩვენა, რომ ახალი თაობა დიდად არც ოპოზიციას ენდობა, რა დასკვნა უნდა გამოიტანონ აქედან პოლიტიკურმა ძალებმა?**

- დიახ, მე ეს უნდობლობა სამართლიანად მიმაჩნია, ახალგაზრდა თაობა დაიღალა უცვლელი პოლიტიკოსების ყურებით. ჩემი და ჩემი თანამებრძოლების პოლიტიკურ პროცესში ჩართვაც სწორედ იმას ემსახურებოდა, რომ ახალგაზრდებს დავუბრუნოთ პოლიტიკური პროცესებისადმი ნდობა. დღეს, საბედნიეროდ, ეს დაწყებულია. უამრავი ახალგაზრდა პოლიტიკოსია, რომელიც აპირებს ამ ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის ბრძოლას იმ უპირატესობების გამოყენებით, რაც ჩვენს თაობას აქვს, ამიტომ ვთვლი, რომ პოლიტიკური პროცესის მართვა ხელში უნდა აიღოს ახალგაზრდა, სუფთა თაობამ და ეს დაწყებულია.

**- ოპოზიცია უკმაყოფილოა ხელისუფლების საქმიანობით, თუმცა მმართველი პარტია აცხადებს, რომ ქვეყანა თანმიმდევრულად ვითარდება, ამ მხრივ ოპოზიციის შენიშვნები სხვადასხვა საკითხთან მიმართებით რამდენად არგუმენტირებულია?**

- ჩვენი პოლიტიკური გუნდის არგუმენტები ყოველთვის ეფუძნებოდა ფაქტებსა და მოცემულობებს. მაგალითად, ის, რომ ამ ხელისუფლებას არასწორი პოზიცია აქვს უკრაინასთან მიმართებაში, არის ფაქტი. რეკორდულად რომ გაიზარდა ემიგრანტების რაოდენობა, ესეც ფაქტია. ლარსის საბაჟოდან რუსების უკონტროლო შემოდინება თვეების განმავლობაში ამ ქვეყნის უსაფრთხოებისთვის პრობლემაა, 50 ათასზე მეტი ბავშვი ამ ქვეყანაში შიმშილობს, ნადგურდება გელათი, სკვერებსა და პარკებში იღუპებიან ახალგაზრდები - ესეც ფაქტებია. ბევრი სხვა პრობლემაა, შემიძლია დაუსრულებლად ჩამოვთვალო, თუმცა, მგონი, საკმარისია იმ რთული მდგომარეობის აღსაწერად, რაც ხდება ჩვენს ქვეყანაში.

**- ოპოზიციის და მმართველი პარტიის დაპირისპირების საკითხი, ძირითადად, ევროკავშირის 12 რეკომენდაციის შესრულებას უკავშირდება...**

- 12 პუნქტი არის მთავარი გამოწვევა ამ ქვეყნისთვის, საშინაო დავალება, რომელიც ჯერ კიდევ შეუსრულებელია და ამის მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, ხელისუფლებაა, ამაზე მიუთითებს „რუსული კანონის“ ირგვლივ განვითარებული პროცესები. ყველა ჩვენი დასავლელი პარტნიორი, ვინც ეს 12 რეკომენდაცია მოგვცა, გვესაუბრებოდა აღნიშნული კანონის მიუღებლობაზე, თუმცა ძალაუფლების შენარჩუნებისთვის ამასაც კი შეეცადა „ქართული ოცნება“. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ თუ წლის ბოლოს ჩვენი ქვეყანა მიიღებს კანდიდატის სტატუსს, ეს იქნება მადლიერების გამოხატვა ქართველი ხალხის მიმართ და ჩვენი პარტნიორების კეთილი ნება, თორემ ხელისუფლების ნაბიჯები სრულიად განსხვავდება იმისგან, რასაც ითვალისწინებს 12 პუნქტი.

**- თქვენ უარყოფითად შეაფასეთ ხელისუფლების ქმედებები ამ მიმართებით, თუმცა ისინი აცხადებენ, რომ ყველაფერს აკეთებენ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად...**

- ერთადერთი, რაც ამ პუნქტებიდან მეტ-ნაკლებად შესრულებულია, ეს არის სახალხო დამცველის არჩევა, რომელიც ოპოზიციის ჩართულობით აირჩიეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესთან დაკავშირებით დარჩა კითხვები, ეს უკვე ფაქტია. სხვა მიმართულებით არანაირი წინსვლა არ არსებობს. სასამართლოში ყოველდღიურად ფესვებს იდგამს კლანი, დეპოლარიზაციის კანონზე მიდის მუშაობა და ხელისუფლება ცდილობს, ეს კანონი შეეხოს ყველას, გარდა ივანიშვილისა, კორუფციასთან ბრძოლას ფასადური ცვლილებებით ცდილობენ, არეგისტრირებენ რუსულ კანონს, შესაბამისად, მე ვერ ვხედავ კონკრეტულ ნაბიჯებს, რომლებიც ეხება 12 პუნქტს და მრჩება განცდა, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა საქართველომ კანდიდატის სტატუსი არ მიიღოს.

**- ამ ბოლო დროს ვხედავთ იმასაც, რომ საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი მკაცრად აკრიტიკებს მმართველ გუნდს. ეს რისი მანიშნებელია?**

- სალომე ზურაბიშვილი გამოცდილი დიპლომატია, კავშირები აქვს ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან და იცის მათი განწყობები ჩვენი ხელისუფლებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ის ვალშია „ქართულ ოცნებასთან“, ბოლო პერიოდში არ ერიდება მის კრიტიკას და სრულიად სამართლიანადაც. მისი ეს ბოლოდროინდელი პოზიცია ბევრად უფრო სწორია, ვიდრე მათი, ვინც ის პრეზიდენტად წარადგინა, თუმცა პრეზიდენტს კრიტიკის გარდა აქვს ვითარების გაჯანსაღების კონკრეტული შესაძლებლობაც, ვგულისხმობ იმას, რომ ქალბატონი პრეზიდენტი მკაფიო უნდა იყოს თავის ნაბიჯებში და აუცილებლად უნდა შეიწყალოს ნიკა გვარამია.

**- არანაკლებ მნიშვნელოვანი ამბები ხდება ოპოზიციურ ველზე, ზოგი რიგგარეშე არჩევნებს ითხოვს, ზოგი ახალ საპროტესტო აქციებს აანონსებს, თქვენს პარტიას ამ მხრივ რა სტრატეგია აქვს არჩეული?**

- მგონია, რომ რიგგარეშე არჩევნები ხელისუფლების თამაშია.

**- რას გულისხმობთ?**

- მაჟორიტარული სისტემით ნებისმიერ არჩევნებში ჩართვა ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან თავიდანვე ფორით იწყებს მოქმედი ხელისუფლება. ჩვენ ვემზადებით 2024 წლის პროპორციული არჩევნებისთვის, ვმუშაობთ ყოველდღიურ რეჟიმში, გვაქვს კომუნიკაცია მოსახლეობასთან, ვხსნით რაიონულ ოფისებს, ვხვდებით სხვადასხვა სფეროს ავტორიტეტულ ადამიანებს. გვინდა, რომ არჩევნებამდე მაქსიმალურად ბევრი ადამიანი შემოვიკრიბოთ ჩვენი იდეების გარშემო. პარალელურად ვმუშაობთ პარლამენტსა და საკრებულოებში. „ლელო საქართველოსთვის“ ჩართული იქნება ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ.

**- ამას წინათ თქვენი პარტიის ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, რომ უნდა შეიქმნას მძლავრი ოპოზიციური გაერთიანება ევროპული კურსის დასაცავად, გვიამბეთ ამის შესახებ.**

- პროდასავლურ ერთობას მივესალმებით, თუმცა ეს ერთობა უნდა იყოს კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებული, ნათლად უნდა ჰქონდეს შემუშავებული სამომავლო გეგმა, როგორ წარსდგება ერთობა არჩევნებზე და ასე შემდეგ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პროდასავლური პარტიების ერთმანეთთან კომუნიკაცია აუცილებელია, თუმცა რა ფორმით და შინაარსით წარიმართება ეს პროცესი, დრო გვიჩვენებს.

**- ექსპერტები არც ოპოზიციას ინდობენ და აცხადებენ, რომ მერაბიშვილის და სხვა ოდიოზური პოლიტიკოსების გამონათქვამები ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს, ამაზე რას ფიქრობთ?**

- ვსაუბრობდით, რომ ახალგაზრდები არ ენდობიან ოპოზიციურ პარტიებს, ახლა ვსაუბრობთ ვანო მერაბიშვილსა და სხვა ოდიოზურ ფიგურებზე, შესაბამისად, პასუხიც ზედაპირზეა - ჩვენ და საზოგადოებამ ნათლად ვიცოდით, რა კუთხით პოზიციონირებს ბატონი მერაბიშვილი, ის გვესაუბრება როგორც „ნაცმოძრაობის“ ლიდერი. მისი პოზიციონირება მგონია, რომ ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. მის პოლიტიკურ წარსულზე და სხვა ოდიოზურ პირებზე, რომლებიც თქვენ იგულისხმეთ, საუბარს არ ვაპირებ.

**- „ენდიაიმ“ გამოაქვეყნა გამოკითხვა სხვადასხვა საკითხზე, ერთ-ერთით - ყოველ მეხუთეს ქვეყნის დატოვება სურს.**

- თქვენს ერთ-ერთ შეკითხვაში თქვით, რომ ხელისუფლება კმაყოფილია გაწეული სამუშაოთი და ფიქრობს, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება, რამდენად თავსებადია ეს გამოკვლევის შედეგებთან? ეს არის აქ მთავარი! კარგად ვართ და მაინც წასვლა უნდა ხალხს საკუთარი ქვეყნიდან? ქვეყნიდან, რომელთანაც აქვს დიდი ემოციური კავშირი?! ცხადია, არ არის კარგად. ყველაზე მძიმე რაცაა, უიმედობაა, პერსპექტივას ვერ ხედავენ ჩვენი თანამოქალაქეები. ეკონომიკურ სიდუხჭირეც რომ თავი დავანებოთ, იზღუდება მათი პოტენციური შესაძლებლობები, სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ გვყავს რეკორდულად ბევრი ემიგრანტი, ამ დროს კი ხელისუფლება ადუღებულ ეკონომიკაზე და სხვა მიღწევებზე გველაპარაკება.

**- ჩვენი ქვეყანა დიდადაა დამოკიდებული დასავლეთის მხარდაჭერაზე. რა გავლენას მოახდენს უკრაინის ომი საქართველოს მომავალზე?**

- უკრაინის ომმა უკვე მოგვცა შანსი, რაც, სამწუხაროდ, შარშან ვერ გამოვიყენეთ, ვერ გავხდით კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყანა. ეს შანსი ჯერ კიდევ გვაქვს და ეს, რა თქმა უნდა, უკრაინის დამსახურებაა. გარდა ამისა, ჩვენ და უკრაინა მსგავს მდგომარეობაში ვართ კარგა ხანია. ჩვენი ტერიტორიების ნაწილი ოკუპირებული აქვს საერთო მტერს რუსეთის სახით და უკრაინის გარდაუვალი გამარჯვება ამ ომში ნიშნავს ყველაზე ახლოს ყოფნას დეოკუპაციასთან, ასევე - ნატოსა და ევროკავშირთან. დღეს უკვე ოფიციალურად ვიცით, რომ უკრაინას, ისევე როგორც საქართველოს, ებრძვის დამნაშავე პუტინი. მაშინ, როცა ეს ომი დასრულდება და აუცილებლად გაიმარჯვებს უკრაინა, საქართველოს და ქართველ ხალხს თავისი ღირსეული ადგილი ექნება მსოფლიოს გეოპოლიტიკურ რუკაზე.

**- დაბოლოს, ჩვენ რომ არ გავქრეთ, როგორც ქვეყანა, რა უნდა გავაკეთოთ?**

- ხელისუფლებას ყოველთვის უნდა ვუთხრათ, რომ ჩვენ თავს ვხედავთ დასავლეთში და ეს არ არის ფასადური, მზად ვართ შევეწიროთ ჩვენი ქვეყნის პროგრესულ მომავალს.

# პედაგოგი, ჟურნალისტი, გიდი ნონა კვასტიანი ფერადი კენჭებით – სარკეებიან სამზერში

ხატია იაშვილი 555 18 48 88

*ალბათ, სათაურიდანვე მიხვდით, რომ დღეს ჩვენი სტუმარი ძალიან საინტერესო ადამიანია. ბევრისთვის ნონა კვასტიანი ნაცნობი და ახლობელია. შეგხვდებათ ბათუმისთვის ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაზე. მისგან მუდმივად დადებითი ენერგია მოდის. ამიტომაც მოსწონთ ტურისტებს მისი ტური და სიამოვნებით ურჩევენ მეგობრებს მათთვის უკვე ნაცნობ გიდს. ქალბატონ ნონას რთული და საინტერესო გზა აქვს გავლილი. ამაზე თავად საუბრობს*

- იმხელა გზა გავიარე, რომ ამ გზაზე ბლომად შეგროვილი ლამაზი კენჭების გადარჩევა უკვე დაწყებული მაქვს. ბათუმელი ვარ, ჩემი მშობლები 1957 წლიდან აქ ცხოვრობენ, აქ ისწავლეს, შეუღლდნენ. მეც აქ დავიბადე 1975 წელს და გავიზარდე. დავამთავრე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის № 2 (მაშინ ასე ერქვა), ახლანდელი პირველი სკოლის ჰუმანიტარული კლასი. ექსპერიმენტული დიფერენცირებული კლასების პირველი გამოშვება ვიყავით. თუკი რაიმე საგანმანათლებლო ექსპერიმენტი განხორციელდა განათლების სისტემაში, ყველაფერი გავიარეთ. უმაღლესი განათლებაც ბათუმში მივიღე. ჩემს უნივერსიტეტში ჩავაბარე ფილოლოგიურზე. წარჩინებით დავხურე 3 კურსი. მერე ერთაშორის მეგობრობის ინსტიტუტი გაიხსნა, ჩემი ბავშვობის ოცნების ასრულების შანსი მომეცა და ჟურნალისტიკაზე ჩავაბარე, პარალელურად აქაც მინდოდა მესწავლა. სამწუხაროდ, სწავლის საფასურის გადახდა ვეღარ შევძელით. საბოლოოდ, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დავასრულე, თუმცა ამ კუთხით მუშაობის შანსი კარგა ხანს არ მომეცა. პირველი ხელფასი, როგორც სკოლის მეტყველების კულტურის პედაგოგმა ავიღე, მგონი 300 კუპონი თუ მანეთი იყო, აღარც მახსოვს. კარგი გამოცდილება მივიღე ბავშვებთან, ჩემს ყოფილ პედაგოგებთან, ზოგადად, კოლექტივთან ურთიერთობის მხრივ. დღესაც შენახული მაქვს მოსწავლეების მიერ მოწერილი სიყვარულით სავსე წერილები, მათივე ხელით შესრულებული ნახატებით და აპლიკაციებით. 1 წელი ვიმუშავე სკოლაში. იყო უმუშევრობის პერიოდიც. ვარდების რევოლუციის შემდეგ, მაშინ ერთადერთ ოპოზიციურ გაზეთში „აჭარა პ.ს.“-ში მივედი, პირველი სტატიები იქ გამოვაქვეყნე. მახსოვს, დერინერის კაშხლის მშენებლობის უარყოფით შედეგებსა და ადლიის სანაპიროს მორეცხვასთან დაკავშირებული პრობლემური წერილის გამო, მთელი თვე ვიარე ოჯახებში და აბაშიძის დროინდელ სხვადასხვა უწყებაში. საფრთხის შემცველი სამუშაო გარემო ჰქონდა მაშინ მედიას. აჭარაში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, საქართველოში ერთ-ერთ პირველ დამოუკიდებელ მედიასაშუალებაში - ტვ 25-ში გადავედი. ეს იყო ჩემთვის ყველაზე კომფორტული სამსახური, საინტერესო წლები - განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების ადამიანებთან ურთიერთობები, ჩემი რეპორტაჟების შემდეგ რესპონდენტების მოგვარებული პრობლემები, კმაყოფილი და ბედნიერი ადამიანები. ბევრი საინტერესო ტრენინგი და მედიაკურსი გავიარე მსოფლიოს ცნობილი მედიასაშუალებების ჟურნალისტების გამოცდილების და ცოდნის გაზიარებით... ისევ სწავლა, ისევ განათლება... ძალიან ბევრი მომცა ტვ 25-ში მუშაობის წლებმა. ეს იყო ადამიანებთან ურთიერთობებისა და გარემოებათა შეფასების საუკეთესო გამოცდილების მომცემი პერიოდი. მოგვიანებით, აჭარის რადიოს საინფორმაციო სამსახურში გადავედი ჟურნალისტად. პარალელურად, შემოქმედებითი გადაცემებისთვისაც ვაკეთებდი რეპორტაჟებს. ცხონებულმა ზეინაბ ფილიპოვამ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მაზიარა რადიოს. კარგი ხმა და მეტყველება გაქვს და აუცილებლად მოდიო. მგონი არ შემცდარა. საინფორმაციოც მიმყავდა. მერე ვიღაცამ ჩათვალა, რომ კონკურენტი ვიყავი და... მე ადამიანების სიმშვიდე ვარჩიე და წამყვანობა დავთმე. პარალელურად, სააგენტოებზეც ვმუშაობდი, ვიყავი რადიო „იმედის“ აჭარის რეგიონის რეპორტიორი. კარგი და მნიშვნელოვანი ეტაპი გავიარე. ამ წლებმა გაზარდა იმ ადამიანთა წრეც, რომლებიც წლების შემდეგ, ჩემი, როგორც მოქალაქის, კოლეგის, პროფესიონალის შემფასებლები გახდნენ.

პროფესიის შეცვლა მომინდა და დაგროვილი ცოდნის, ჩემი ქვეყნის შესახებ დადებითი ინფორმაციის გაზიარების მიზნით, გიდობა გადავწყვიტე. აი, აქ დაიწყო ყველაზე საინტერესო, სათავგადასავლო ეტაპი. ეს ცალკე თემაა, რომელიც დღემდე აქტუალურია ჩემს ცხოვრებაში.

რადიოდან ისევ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ წამოვედი და სრულიად სხვა მხრიდან მომიწია ჟურნალისტებთან ურთიერთობა. არასოდეს მინატრია პრესსამსახურში მუშაობა. მადლობელი ვარ ყველას, ვინც მაშინ ჩემზე გააკეთა არჩევანი. იქაც ძალიან კარგი ადამიანები იყვნენ ჩემ გვერდით. მათი მადლიერი ვარ. ყველაზე ხანგრძლივად, ჯერჯერობით, პრესსამსახურში ვიმუშავე - 2012-დან 2022 წლამდე.



ამჟამად აჭარის პროექტების მართვის კომპანიაში ვმუშაობ PR-ის მიმართულებით. აქაც საოცარი კოლექტივი დამხვდა. ძალიან ნიჭიერი და მრავალმხრივი ადამიანები აკეთებენ საშვილიშვილო საქმეს, რაც ცხოვრების ჯანსაღი წესის შენარჩუნებას და რეგიონში სპორტის განვითარებას უწყობს ხელს.

> ყველაზე კომფორტულად გიდობის დროს ვარ, ვერ წარმოიდგენთ, რამოდენა ბედნიერებას და ფერადოვნებას მანიჭებს ეს საქმე - ახალი სახეები, სხვადასხვა ხასიათის ადამიანები თავისი ინტერესებით. კარგი გიდი კალეიდოსკოპივითაა... ყოველ ტურზე თითო ფერადი კენჭი იყრება სარკეებიან სამზერში და ყოველ ჯერზე ახლებურად ხედავ და აღწერ ერთი და იმავე თემას, საკუთარ ქვეყანაში მოგზაურობ და აცნობ უცხო ადამიანებს, დიპლომატი და ელჩი ხარ შენს ქვეყანაში



**- პედაგოგი, ჟურნალისტი, გიდი... რა მოგცათ ამ პროფესიებმა?**

- ბევრი რამ, ზემოთ არაერთხელ ვახსენე - დიდი სანაცნობო, საახლობლო, ბათუმივით მულტიკულტურული სამეგობრო წრე. ბათუმი პატარა ქალაქია და აქ ძალიან მალე იმკი იმას, რასაც დასთეს. ყველამ ყველაფერი იცის ერთმანეთის შესახებ. სხვადასხვა პოზიციაზე სხვადასხვაგვარად გექცევიან. ვინც მართლა მიცნობს, იცის, რომ არ შევცვლილვარ, უბრალოდ ადამიანების დამოკიდებულება იცვლება იმის შესაბამისად, როგორიც თავად იქნებოდა სხვის ადგილას. ჯერ თესვა არ დამისრულებია და ალბათ, ცხოვრების ბოლომდე არ შევწყვეტ. მოვიმკე ბევრი კეთილმოსურნე ადამიანი, პატარ-პატარა წარმატებები. ყველგან არიან არშემდგარი ადამიანები, რომლებსაც, როგორც ნოდარ დუმბაძე ამბობდა „სხვისი სიკეთე წნევას უწევს“, სხვისი აღიარება უჭირთ და ზურგს უკან კენჭებივით აყრიან ტყუილს და ტალახს... უკან არასოდეს ვბრუნდები... ყველასი მადლობელი ვარ, ბევრი შევიცანი და ბევრმა თავისით აიხადა ნიღაბი.

**- რომელი საქმიანობა იყო თქვენთვის ყველაზე კომფორტული?**

- ყველაზე კომფორტულად გიდობის დროს ვარ, ვერ წარმოიდგენთ, რამოდენა ბედნიერებას და ფერადოვნებას მანიჭებს ეს საქმე - ახალი სახეები, სხვადასხვა ხასიათის ადამიანები თავისი ინტერესებით. კარგი გიდი კალეიდოსკოპივითაა... ყოველ ტურზე თითო ფერადი კენჭი იყრება სარკეებიან სამზერში და ყოველ ჯერზე ახლებურად ხედავ და აღწერ ერთი და იმავე თემას, საკუთარ ქვეყანაში მოგზაურობ და აცნობ უცხო ადამიანებს, დიპლომატი და ელჩი ხარ შენს ქვეყანაში. სტუმარი რომ წასვლისას აცრემლებული დაგემშვიდობება, ჯგუფი რომ მქუხარე აპლოდისმენტებით გხვდება მეორე დღეს, გაცილებისას პატარა მოგზაურები თავიანთ საყვარელ ნივთს რომ იმეტებენ და გჩუქნიან, მერე რომ წერილებს წერენ კომპანიას ან პირადად, ეს უდიდესი სტიმულია. ძალიან დადებითი ემოციები და განწყობა მოაქვს ამ საქმიანობას. იხარჯები და იღლები სასიამოვნოდ. ვითარდები ყოველ ჯერზე... მადლობა ამ „სასიამოვნო გაურკვევლობაში“ შეყვანისთვის ორ ძალიან კარგ ადამიანს. რომ წაიკითხავენ, აუცილებლად ამოიცნობენ საკუთარ თავს.

**- თითოეული სამსახური ახალ, საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობის საშუალებას გაძლევდათ. რა ისწავლეთ ცხოვრებისგან?**

- ვისწავლე ის, რომ ვინც გიღიმის, ყველას არ უხარია შენი წარმატება. რომ ნდობის დეფიციტი გვაქვს ადამიანებს. ვისწავლე, რომ ადამიანს ალამაზებს ზრდილობა და ღიმილი, ყველაზე მეტად სჭირდება მშვიდი გარემო - სახლშიც, სამსახურშიც, ყველგან, სადაც და ვისთან ერთადაც უნდა იყოს და თუ არ ექნა ეს ყველაფერი, მაშინ უნდა გაეცალოს იქაურობას. მჯერა, უანგარობის და ცხოვრებაში ბუმერანგის პრინციპის... და კიდევ, ილია ჭავჭავაძის სიტყვების მჯერა: „ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან“.

**- ბათუმში თითქმის ყველა გიცნობთ. რას ნიშნავს თქვენთვის ეს ქალაქი და რა პასუხისმგებლობას გრძნობთ მის წინაშე?**

- ხმამაღალი ნათქვამია, გავწითლდი. ეს, ალბათ, ჩემი სხვადასხვა სამსახურში მუშაობის შედეგია. ფეხით თუ გავდივარ სადმე, 1 საათით ადრე უნდა გავიდე, რომ სახლიდან, თუნდაც ბულვარამდე ჩავაღწიო. თვალის არიდება არ მჩვევია, არც გვერდის ავლა. მიყვარს ყველა, ვისთვისაც ადამიანური ურთიერთობები მნიშვნელოვანია. განა გულისტკენა არ მქონია ჩემ მიმართ აგორებული სიცრუეების გამო? ბულინგის მსხვერპლიც ვიყავი და პირადი ტრაგედიაც შემემთხვა ამის გამო. მე პირადად, როგორც ამბობენ: გარეთ გასვლა და თავაწეული სიარულის არასოდეს შემრცხვება. არც არავისთვის თვალის გასწორების პრობლემა მქონია ოდესმე.

**- როდესაც ქალაქის ტური გაქვთ, როგორც გიდი, პირველად რას უყვებით სტუმარს ბათუმზე, ზოგადად, აჭარაზე?**

- ბათუმელების, აქაური ადამიანების ურთიერთობებზე. ეს ქალაქი იქნებოდა ერთი ჩვეულებრივი არქიტექტურული დომხალი, რომ არა ის პატარ-პატარა ისტორიები, რომლითაც ბათუმელები უკავშირდებიან აქაურობას. არც ეს შენობები იქნებოდა საინტერესო, რომ არა მათი ყოფილი თუ ამჟამინდელი მფლობელების ისტორიები; რომ არა ის მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, რეჟისორები, მსახიობები, უბრალო მებაღეები, მეეზოვეები თავიანთი ისტორიებით, მრავალეროვან ეზოებში ყავის მოდუღების ცერემონიები თაობათა გაცნობის ტრადიციებითა და ბევრი სხვა ნიუანსით, რაც ჩვენს პატარა ქალაქს ახასიათებს და რის დეფიციტსაც განიცდის დღევანდელი სამყარო.

**- რა პრობლემებია დღეს ამ სფეროში? როგორც ვიცი, ტურებს თავად ჩამოსული ტურისტები აწყობენ.**

- პრობლემა უდავოდ დიდია, რაც ბოლო 2 წელიწადში კიდევ უფრო გაღრმავდა და ადგილობრივ გიდებსა და ტუროპერატორებს სამუშაოს დეფიციტი შეუქმნა. უცხოელისთვის ყველაზე მარტივად და ხელსაყრელი პირობებით დარეგისტრირებულმა ბიზნესმა, რომლის წარმომადგენლებმა თავიანთი თანამემამულეები დაასაქმეს ყველა მათთვის საჭირო ვაკანსიაზე, შესაძლოა, მალე ჩაყლაპოს ადგილობრივი კომპანიები. პრობლემა გახლავთ ისიც, რომ ისინი გაზეპირებულ, შაბლონურ და მათი შეხედულებისამებრ დამუშავებულ ინფორმაციას უყვებიან თავიანთ ტურისტებს, ჰყავთ თავიანთი მძღოლები, აქვთ ავტოპარკები...

**- სად ატარებთ თავისუფალ დროს?**

- ვცდილობ, ვინმესთან ერთად გავიდე ქუჩაში და ვისეირნო. კოვიდის პერიოდში კითხვით და ხატვით გავერთე. ხელსაქმეც მიყვარს - ქსოვა, ქარგვა, მძივებით სუვენირების გაკეთება, ჩემი ნახელავის გაჩუქებაც მიყვარს.

**- კულინარიასთან თუ მეგობრობთ და თუ ასწავლით ტურისტებს სვანური და აჭარული კერძების მომზადებას?**

- ძალიან მიყვარს კულინარია, თუ დრო და საშუალება მაქვს, აუცილებლად რაღაცას გავაკეთებ. კულინარიული ექსპერიმენტებიც მიყვარს. საქართველოს ყველა კუთხისთვის დამახასიათებელი კერძების გაკეთება შემიძლია. ფავორიტი, რა თქმა უნდა, სვანური კუპდარია, მერე - სხვა დანარჩენი.

**- უკან რომ დავბრუნდეთ, რას შეცვლიდით განვლილ გზაზე?**

- რამდენიმე ნაბიჯს აღარ გადავდგამდი და უფრო მოგებული დავრჩებოდი. ერთ-ორ შემთხვევაში, უკან არ დავიხევდი, ხანდახან, ზედმეტი თავმდაბლობა დამაზარალებელია. თუმცა ყველაფერი გაკვეთილია, მთავარია, სხვისი შეცდომა არ გაიმეორო, საკუთარზე კი ისწავლო და გამოცდილებად იქონიო მხედველობაში. პროფესიული თვალსაზრისით, ალბათ, ისევ იმ გზას გავივლიდი.

**- დაბოლოს, სამომავლო გეგმები გაგვიმხილეთ.**

- როგორც ამბობენ, გეგმებს გაჟღერება არ უყვარს, ამიტომ მირჩევნია, ჩემთან დარჩეს და განხორციელების შემთხვევაში გაცხადდეს.

# იჩქარე, მიღება 3 აპრილამდე გრძელდება...

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*„უნივერსიტეტი მზად არის ახალი ნაკადის მისაღებად“, - ასე დაიწყო გაზეთ „აჭარასთან“ საუბარი ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა თემურ კეჟერაძემ. მისივე ინფორმაციით, უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლისათვის საბუთების მიღება უკვე გამოცხადდა და 3 აპრილამდე გაგრძელდება*



რაც შეეხება სპეციალობებს, ჩამონათვალი ასეთია: ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა); კულტურის მენეჯმენტი; კულტურული ტურიზმი; მასობრივი კომუნიკაცია (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა); არქიტექტურა; დიზაინი (სამოსის დიზაინი); აუდიო-ვიზუალური ხელოვნება (კინორეჟისურა); სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს მსახიობი); სამუსიკო შემსრულებლობა (ფორტეპიანო, აკადემიური სიმღერა, საორკესტრო). თემურ კეჟერაძის თქმით, უნივერსიტეტი ყოველწლიურად გარკვეული სიახლეებით ხვდება სტუდენტებს. შენობა აღჭურვილია ყველა აუცილებელი ინვენტარით, რაც ახალგაზრდებს ხელს შეუწყობს არჩეული სპეციალობის პროფესიონალურად დაუფლებაში. რექტორის ინფორმაციით, უნივერსიტეტს აქვს სასწავლო თეატრი, საგამოფენო დარბაზი, საჭირო ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები, სახელოსნოები როგორც მხატვრების, ასევე არქიტექტორებისთვის.

- მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს პროგრამებს აკრედიტაცია გავლილი აქვს, უნივერსიტეტის მაგისტრალური გეზია სასწავლო პროგრამების განახლება, რათა უფრო საინტერესო ფორმით შევთავაზოთ სტუდენტებს ესა თუ ის პროგრამა. გვაქვს არაჩვეულებრივი ინფრასტრუქტურა, საჭირო ტექნიკა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ჩვენს სასწავლო თეატრში უკვე დავამონტაჟეთ და ტესტირების რეჟიმშია განათებისა და გახმოვანების აპარატურა. გვყავს არაჩვეულებრივი აკადემიური პერსონალი. უნივერსიტეტი მზად არის ახალი ნაკადის მისაღებად. ყოველწლიურად ვცდილობთ, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა კიდევ უფრო საინტერესო გავხადოთ, - განაცხადა თემურ კეჟერაძემ.

რექტორის თქმით, მიუხედავად კონკურენტუნარიანი გარემოსი, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი კვალიფიციურ კადრებს უმზადებს როგორც რეგიონს, ასევე, ქვეყანას, ამის განმსაზღვრელი კი მათი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელია - ისინი თავიანთი კვალიფიკაციით აკმაყოფილებენ შრომის ბაზარს.

თემურ კეჟერაძემ ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ სამეცნიერო ნაშრომების კრებულზე „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“ ისაუბრა, რომლის მეცხრე ტომიც ამჟამად გამოვიდა. მასში დაბეჭდილი ნაშრომები მოიცავს ხელოვნებათმცოდნეობის, კინომცოდნეობის, მუსიკისმცოდნეობის, თეატრმცოდნეობის, კულტურისა და სახელოვნებო განათლების, მედიაგანათლების სფეროებს.

- ვფიქრობ, კრებული ძალიან საინტერესო გამოვიდა. სხვათა შორის, აღნიშნული გამოცემის მთავარი რედაქტორი ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორი, ქალბატონი მაია ჭიჭილეიშვილია, რომელიც აქტიურ პედაგოგიურ და კვლევით მუშაობას ეწევა. მეცხრე ტომის რედაქტორია, ასევე, ჩვენი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი სოფო თავაძე. აღნიშნული კრებული 2008 წლიდან გამოიცემა და აერთიანებს სახელოვნებო მეცნიერებებს. კრებულში ქართველებთან ერთად, იბეჭდება სახელოვნებო სფეროში ჩვენი უცხოელი პარტნიორი სასწავლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლების ნამუშევრები. სამეცნიერო ნაშრომების კრებული განკუთვნილია სახელოვნებო მიმართულების მკვლევრებისა და სტუდენტებისათვის, ხელოვნებისა და კულტურის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის, - აღნიშნა თემურ კეჟერაძემ.

კითხვაზე, კონკურენტუნარიან გარემოში რატომ უნდა აირჩიონ ახალგაზრდებმა ბათუმის ხელოვნების სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტი, რექტორმა გვიპასუხა, რომ ამისთვის ბევრი მიზეზი არსებობს, თუმცა ერთ-ერთი ის გახლავთ, რომ უნივერსიტეტი მზად არის, ყველა პირობა შეუქმნას თითოეულ სტუდენტს კვალიფიციური და მაღალი დონის განათლების მისაღებად. მისივე განცხადებით, უნივერსიტეტი მხოლოდ და მხოლოდ ხარისხიან სწავლაზე, სასწავლო პროცესზე არის ორიენტირებული.

- ყველა შესაძლებლობა, რაც ჩვენს უნივერსიტეტში არსებობს, მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტებისთვისაა, ჩვენ სტუდენტებს ვეკუთვნით. როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ასევე, უნივერსიტეტის ნებისმიერი თანამშრომელი იმისთვის ვართ აქ, რომ ვემსახუროთ ახალგაზრდებს. გარდა იმისა, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ხარისხიანი განათლების მისაღებად ყველა პირობაა შექმნილი, აღსანიშნავია და სასიხარულოა ის, რომ ძალიან მეგობრული და ერთმანეთის პატივისცემაზე დამყარებული გარემოა, როგორც ერთ დიდ ოჯახში. ამ ატმოსფეროს შექმნაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩვენს აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, უნივერსიტეტში მოღვაწე თითოეულ ადამიანს, რისთვისაც მადლობას ვუხდი მათ. უნივერსიტეტის მიზანია, ხარისხიანი განათლება მიაწოდოს მათ, ვინც არჩევანს ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტზე შეაჩერებს, - განაცხადა რექტორმა.

თემურ კეჟერაძემ მემორანდუმების მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება, რომლებიც მათ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა, დრამატულ, ხულოს სახელმწიფო თეატრებთან, მუზეუმებთან, ტურიზმის დეპარტამენტთან, ტურისტულ სააგენტოებსა და არაერთ პარტნიორ უნივერსიტეტთან აქვთ გაფორმებული, სადაც ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტები პრაქტიკას გადიან და იმაღლებენ კვალიფიკაციას. თემურ კეჟერაძის თქმით, რამდენიმე დღის წინ შეხვდა საზოგადოებრივი მაუწყებლის - აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორ ვლადიმერ ტატიშვილს და შედგა შეთანხმება, რომ მხარეები მჭიდროდ ითანამშრომლებენ, რაც, საინფორმაციო მხარდაჭერასთან ერთად, ერთობლივი პროექტების შემუშავებასაც გულისხმობს.

# გამოფენა – ხულოს სამხატვრო გალერეაში

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ხულოში სამხატვრო სკოლის ჩამოყალიბების სათავეებთან საქართველოს სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული, უჩა ჯაფარიძის კლასის მოსწავლე, ვაშლოვანელი სიმონ ართმელაძე იდგა. მამის კვალს გაჰყვნენ შვილები - ესმა და ბადრი დღეს ცნობილი მხატვრები არიან. ბადრი მამის მიერ დაარსებულ სამხატვრო გალერეას უდგას სათავეში.

მშობლიურ ხულოს ემსახურა გივი ართმელაძეც, რომლის ნახატების პერსონალური გამოფენა მოეწყო ხულოს სამხატვრო გალერეაში.

გივი ართმელაძე 1955-2005 წლებში მოღვაწეობდა, შექმნილი აქვს 100-მდე ფერწერული ტილო. მის ნახატებს ეცნობოდნენ რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო გამოფენებზე. სამხატვრო საქმიანობის პარალელურად, გივი ართმელაძე პედაგოგად მუშაობდა ვაშლოვანისა და დაბა ხულოს სკოლებში.

გამოფენა ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ და პარლამენტარმა ანზორ ბოლქვაძემ დაათვალიერეს.



სპორტი

# მძლეოსანთა წარმატება

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლის სპორტსმენებმა, საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მძლეოსნობაში, ოქროსა და ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს.

სამმაგ ხტომაში ტურნირის გამარჯვებული მათე მეჯიდოვი გახდა, 200 მ დისტანციაზე გარბენში ვერცხლის მედალს გიორგი გიუვენი დაეუფლა.

ვულოცავთ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს კახა ხომერიკს და ომარ მეჯიდოვს, ახალ წარმატებებს ვუსურვებთ.



«აჭარაში»
განთავსებული
განცხადებების
ღირებულება

სამგლოვიარო
განცხადება:
სიტყვა
30 თეთრი

ნეკროლოგი:
სიტყვა 30
თეთრი

მილოცვა:
სიტყვა 50
თეთრი

აუქციონები:
სიტყვა 50
თეთრი

ფოტომილოცვა:
ფოტო 5 ლ.
სიტყვა 50 თ.

# აჭარის ჩემპიონატი – ჭადრაკში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

მუხრან ვახტანგაძის სახელობის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა აჭარის ჩემპიონატი ჭადრაკში სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში - 10, 14 და 18 წლამდე გოგონათა და ჭაბუკთა შორის.

ტურნირი, რომელიც აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა, შვეიცარიული სისტემით 7 ტურად გაიმართა. მასში 90 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს ბათუმელმა სპორტსმენებმა: რატი დიასამიძემ (მწვრთნელი - თენგიზ დიდმანიძე), ანასტასია ბასილაძემ (მწვრთნელი - ვახტანგ ბასილაძე), გიორგი ჭანტურიამ (მწვრთნელი - მარიკა ჯაფარიძე), თიკო ბერაიამ (მწვრთნელი - თენგიზ დიდმანიძე), დემეტრე გოგიაშვილმა (მწვრთნელი - ალექსი ტერ-კარაპეტიანი) და ქობულეთელმა ლულუ დიასამიძემ (მწვრთნელი - გიგა ყუფარაძე).

საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები შესაბამისი სინჯის მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ, გადაეცათ საერთაშორისო საჭადრაკო პლატფორმის ერთწლიანი ვაუჩერებიც, ჩემპიონებს, ასევე - თასები.

ჩემპიონები მონაწილეობას მიიღებენ შესაბამისი ასაკის 2023 წლის საქართველოს ჩემპიონატში, რომელსაც თბილისი 16-25 ივნისს უმასპინძლებს.

საპრიზო ადგილებზე გასული მოჭადრაკეები აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძემ, აჭარის სპორტის დეპარტამენტის მოადგილე ირაკლი აბულაძემ და სპორტის განყოფილების უფროსმა ზურაბ ჭყონიამ დააჯილდოვეს.



# სადაც საქმეა, იქ სათქმელიც მეტია

მე-4 გვერდიდან

სამხედრო სამსახურში გასაწვევად. გამგეობის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ გეგმა-დავალების მიხედვით გაწვევის, პირველადი სამხედრო აღრიცხვის და რეზერვისტთა მომზადების საკითხები ზემდგომიდან მოცემული გეგმა-გრაფიკის მიხედვით დროულად და შეუფერხებლად არის შესრულებული.

ყურადღების მიღმა არც გენდერული თანასწორობის მდგომარეობა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საქმიანობა დატოვეს. მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული 136 თანამშრომლიდან 34 ქალია. სხდომაზე ითქვა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის ქალთა ოთახის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, სისტემატურად იმართება სემინარები და შეხვედრები სხვადასხვა სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე, სადაც მსჯელობენ გენდერული თანასწორობის შესახებ, ასევე, თემებზე: „ქალთა ქონებრივი უფლებები საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალში“, „ქალების სამეწარმეო შესაძლებლობების გაძლიერება მთიან აჭარაში“, „შშმ ქალებისა და ბავშვების უფლებები და საჭიროებები“ და ა. შ.

ქალთა ოთახის ორგანიზებით მოეწყო გასვლითი შეხვედრები სხვადასხვა სოფელში, სამთო იალაღებზე და სამეწარმეო ობიექტებზე. გასვლით შეხვედრებზე ხვდებოდნენ მოსახლეობას, ისმენდნენ და იკვლევდნენ ქალთა პრობლემებს.

- ხულოს მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო კვლავაც განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ქალთა გააქტიურებას და მათ ჩართულობას საზოგადოებრივ საქმიანობაში, - თქვა მომხსენებელმა.

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე
ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 22/03/23, 20 30 სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

# მეთოჯინეთა საერთაშორისო დღე სპექტაკლის პრემიერით აღინიშნა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში სპექტაკლის „ოთხი პატარა ამბავი“ პრემიერა გაიმართა. დადგმაში არ იყო სიტყვა და მაინც, თოჯინებმა ყველასთვის გასაგები და საინტერესოდ აღსაქმელი მოძრაობებით, შეძლეს ოთხი სხვადასხვა ამბის ისე მოყოლა, რომ დამსწრეთა მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურეს*

- ძალიან მიყვარს თეატრში მოსვლა, დედას სულ ვთხოვ, რომ არცერთი სპექტაკლი არ გამორჩეს. განსაკუთრებით მომწონს თოჯინური სპექტაკლები. ასე მგონია, ყველა თოჯინას ვიცნობ და ჩემი მეგობრები არიან. მათ მიერ წარმოთქმულ ფრაზებს ხშირად ვიმეორებ, ვბაძავ და ეს მსიამოვნებს. ძალიან მომეწონა „ოთხი პატარა ამბავი“ და მასში მონაწილე თითოეული თოჯინა. მინდა, კიდევ უფრო მეტი სპექტაკლი გაიმართოს და მეც უფრო ხშირად მოვიდე ამ საყვარელ ადგილას, სადაც ყოველ ჯერზე ინტერესით ვათვალიერებ შენობას და ჯადოსნურად აღვიქვამ აქაურ გარემოს, - გვითხრა 5 წლის ნია აბაშიძემ.

დავით მაცხონაშვილის რეჟისორობით დადგმული ამ სპექტაკლის პრემიერა 21 მარტს, მეთოჯინეთა საერთაშორისო დღეს შედგა. თეატრში ასევე აღნიშნეს დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, რასთან დაკავშირებითაც 26-ე საჯარო სკოლასთან არსებული ინკლუზიური სწავლების ცენტრის აღსაზრდელების ხელნაკეთი ნამუშევრებისა და ნახატების გამოფენა მოეწყო. იმავე დღეს, ქართული ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით, თეატრში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოსთან.

- თავიდანვე, როცა მოვედი აჭარის ტელევიზიასა და რადიოს დირექტორად, აღვნიშნე, რომ მაუწყებელი უნდა იქცეს რეგიონის და, ზოგადად, კულტურის პიარის მანქანად. შესაბამისად, მსგავსი მემორანდუმი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ უფრო მარტივად და ადვილად მივიტანოთ თუნდაც თოჯინების თეატრის სიახლეები ჩვენს მაყურებლამდე. მსგავს მემორანდუმებს გავაფორმებთ სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებასთან და არამარტო, რადგან ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და მაყურებლამდე მიტანა არის მაუწყებლის მთავარი პრიორიტეტი, - გვითხრა ლადო ტატიშვილმა.

თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში გამართულ გამოფენას, ასევე, სპექტაკლის პრემიერას, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი დაესწრო. მაია ხაჯიშვილმა თეატრის დასს და პერსონალს მეთოჯინეთა საერთაშორისო დღე მიულოცა და თითოეულს წარმატებული მოღვაწეობა უსურვა.





# „რწმენა ცხოვრების მნიშვნელოვანი კომპონენტია“

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*„ცხოვრება ყოველთვის კარგი არის, რაკიღა ყოველთვის შეიძლება უარესი იყოს“, - ამბობს ახალგაზრდა მწერალი, სცენარისტი, ჟურნალისტი, იუმორისტი და ბლოგერი **ბექა ადამაშვილი,** რომლის წარმატებულმა დებიუტმა მკითხველის ყურადღება მიიპყრო - იგი ცნობილი გახდა პირველივე სატირული რომანით „ბესტსელერი“. არის ევროკავშირის ლიტერატურული პრემიის მფლობელი წიგნისთვის „ამ რომანში ყველა კვდება“, ხოლო მისი მოთხრობა „წვიმის წვეთი“ ქიმიის სასკოლო სახელმძღვანელოშია შეტანილი, რაც მრავლისმთქმელი და საამაყოა. ახალგაზრდა შემოქმედი დღეს გაზეთ „აჭარის“ სტუმარია.*



**- სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ...**

- ვცდილობ, იმ ქვეყანას რაიმე სარგებელი მოვუტანო, თუმცა, თუკი ამ შეკითხვის მიზანი ჩემი დაბადებისა და ზრდის ადგილის გაცხადებაა, მაშინ ჯობდა, ასე მეპასუხა - დავიბადე და გავიზარდე თბილისში.

**- ბავშვობა, ყრმობა, მშობლიური გარემო...**

- სტანდარტული ბავშვობა მქონდა - სკოლაში კარგ მოსწავლედ ვითვლებოდი, ფეხბურთში - საშუალო დონის ნახევარმცველად, ცურვაზე ერთი-ორჯერ... კინაღამ დავიხრჩვი.

**- თქვენი კარიერა როგორ დაიწყო და რის მიღწევაზე ოცნებობდა წლების წინ ბექა ადამაშვილი?**

- ბავშვობის ოცნებები არ მახსოვს, რაც, ალბათ, პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ მაინცდამაინც გულდასმით არც მიოცნებია რამეზე. უბრალოდ, ვიცოდი, რომ მიყვარდა წერა და მინდოდა, ეს სიყვარული საქმედ მექცია. სწორედ ამიტომ პირველად ძალები Media.ge-ს ჟურნალისტის ამპლუაში მოვსინჯე. მალევე მივხვდი, რომ წერისადმი წრფელი გრძნობების მიუხედავად, ჟურნალისტიკა არ იყო ის საქმე, რასაც შეეძლო, ხანგრძლივად დაედო ბინა ჩემს ბიოგრაფიაში.

**- ახლა რას საქმიანობთ?**

- ამ ეტაპზე ვარ ფრილანსერი, ქოფირაითერი, სცენარისტი და კრეატიული დირექტორი. კარგი იქნებოდა, ამ წინადადებაში უფრო მეტი ქართული სიტყვა რომ გამომეყენებინა, მაგრამ „ამჟამად ვარ თავისუფალი გრაფიკით წინასწარ შეთანხმებულ ანაზღაურებაზე მომუშავე რეკლამათა ტექსტების მწერალი, სცენარების ავტორი და სხვადასხვა პროექტის შემოქმედებითი ხელმძღვანელი“ შეიძლება ბოლომდე აღქმადი აღარ ყოფილიყო.

**- რწმენა გაძლიერებთ...**

- რწმენა ცხოვრების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ვისი ან რისი - ეს უკვე ინდივიდუალურადაა გადასაწყვეტი.

**- როცა სევდა გიპყრობთ...**

- ასეთ დროს უაზროდ ვსქროლავ ხოლმე. ხანდახან სწორედ ამ მიზეზით მიპყრობს სევდა.

**- ოჯახი - ბედნიერების სათავე?**

- მათ შორის, ბედნიერებისაც.

**- მიტევება შეგიძლიათ?**

- ოცდათორმეტი წლის განმავლობაში, ჯერჯერობით, არასოდეს გამჭირვებია. მეეჭვება, ამის შემდეგ ვიცვალო ნირი.

**- როცა ფიქრები მოგეძალებათ?**

- როგორც წესი, არ ვეწინააღმდეგები.

**- რა არის შენი ხასიათის მთავარი შტრიხი?**

- ალბათ, ის, რომ საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს.

**- ოდესმე თუ ღმერთს შეხვდებოდით, რას ისურვებდით, რომ თქვენთვის ეთქვა?**

- კეთილი იყოს შენი მობრძანება სამოთხეში!

**- მეგობარი სულის არჩევანია...**

- მე გულს უფრო ვენდობი.

**- სიცოცხლე საჩუქარია?**

- შეგვიძლია ასეც შევფუთოთ. ზოგ შემთხვევაში, სიურპრიზიც კი.

**- თქვენი ჰობი...**

- კომპიუტერული თამაშები, პაზლები, ფოლდერების დალაგება.

**- რა განსხვავებაა ცხოვრებასა და არსებობას შორის?**

- ცხოვრება ბევრად უკეთესია.

**- მუსიკა სამყაროს ენაა...**

- არ ვარ ამ მოსაზრების წინააღმდეგი, თუმცა, ვამჯობინებდი, რომ სამყარო პოლიგლოტი იყოს.

**- ვინ არის თქვენი ცხოვრების მასწავლებელი, მოძღვარი?**

- ალბათ... თავად ცხოვრება.

**- სამაგიდო წიგნი...**

- ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი.

**- მწერალი, რომელთანაც ისაუბრებდით - რატომ და რის შესახებ?**

- ენიდ ბლაიტონს ვკითხავდი, რანაირად მოახერხა ერთი სიცოცხლის განმავლობაში 600-ზე მეტი წიგნის დაწერა... თუკი ექნებოდა ჩემთან საუბრის დრო, ცხადია.

**- საყვარელი მწერალი, პოეტი.**

- პროზაიკოსი ჯემალ ქარჩხაძე. საყვარელი პოეტი არ მყავს, ამიტომ ამ კვოტას ტერი პრეტჩეტით შევავსებ.

**- რომელი წიგნის დასაწყისია საუკეთესო?**

- არ ვიცი, რამდენად საუკეთესოა, მაგრამ: „დღეს დედა გარდაიცვალა. ან იქნებ - გუშინ. არ ვიცი“.

**- რა უფრო მნიშვნელოვანია, რეალობის ასახვა თუ გამონაგონი?**

- გააჩნია, ჟურნალისტი ხარ თუ მწერალი. ზოგადად, ორივე მნიშვნელოვანია.

**- ნაწარმოები, რომლის ავტორიც იქნებოდით...**

- ჟოზე სარამაგუს - ნებისმიერი.

**- დღეები, რომლებსაც ხშირად მოიგონებთ...**

- ალბათ, შვილის დაბადებისა და გარემოსთან ადაპტირების პირველ დღეებს. იმედია, მომაყოლებს ხოლმე.

**- ახლა რას ნატრობთ?**

- საქართველო-ნორვეგიის საფეხბურთო მატჩის ორ ბილეთს.

**- ყველაზე დიდი გამოცდილება, რაც ცხოვრებამ მოგცათ?**

- არ ვიცი, რამდენად ყველაზე დიდი გამოცდილებაა, მაგრამ საქმე, რომელიც ხუთ წუთში შეიძლება გაკეთდეს, საღამოსთვის არ უნდა გადადო.

**- ფრაზა, რომელიც თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია...**

- ცხოვრება ყოველთვის კარგი არის, რაკიღა ყოველთვის შეიძლება უარესი იყოს.

**- სიმბოლურად რას დახატავდით, რომ გითხრან, საქართველო დახატეო?**

- უფრო მუხას ან ჩონგურს, ადვილი დასახატია. დაჭრილი არწივის დახატვა გამიჭირდებოდა.

**- დაბოლოს, შეკითხვა საკუთარ თავს...**

- აბა, დღეს შენ ვის რა არგე?



# გელა ჯანელიძის ხსოვნის ტურნირი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში დასრულდა სპორტის დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის, ღირსებისა და ფილას ორდენის კავალერის, შესანიშნავი ბათუმელის გელა ჯანელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მეორე რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის*

გელა ჯანელიძე ბათუმში დაიბადა. დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. სპორტული კარიერა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გამოსვლებით დაიწყო. წლების განმავლობაში საქართველოს ნაკრებთან ერთად წარმატებით ასპარეზობდა საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ სამწვრთნელო კარიერა განათლების სამინისტროსთან არსებულ ჭიდაობის სპორტულ სკოლაში გააგრძელა. 2000-2005 წლებში იყო ამ სკოლის დირექტორი. მის ხელმძღვანელობას უკავშირდება აჭარაში ჭიდაობის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპები. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა ფალავანთა აღზრდისა და დაფინანსების საქმეში. ორგანიზატორული ნიჭისა და სპორტული შემართების წყალობით გელა ჯანელიძე აირჩიეს აჭარის პირველი ნაკრების მთავარ მწვრთნელად ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურებოდა. 12-ჯერ იყო დასახელებული აჭარის 10 საუკეთესო მწვრთნელს შორის.

როგორც ტურნირის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა ედნარ ლომანაძემ გვითხრა, აღნიშნული ტურნირი ჭაბუკთა ასაკობრივ კატეგორიაში მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლის ორგანიზებით უკვე მეორედ გაიმართა. წელს მასში საქართველოსა და სომხეთის 300-ზე მეტი წარმომადგენელი ასპარეზობდა.

გამარჯვებულები და პრიზიორები 13 წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. ბათუმის სპორტის სასახლის აღსაზრდელთაგან ერთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს: ბუბა ბოლქვაძემ (57 კგ წონითი კატეგორია), საბა ჭაღალიძემ (23 კგ), ვეფხია მგელაძემ (38 კგ), მიხეილ ბერიძემ (52 კგ), დავით ღორჯომელაძემ (75 კგ).

ვულოცავთ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს - მარად აბულაძეს, გელა ჩხაიძეს, არჩილ ტუღუშს და მინდია შაინიძეს ამ წარმატებას და ახალ-ახალ მიღწევებს ვუსურვებთ.

- მე და გელა ერთად გავიზარდეთ, ჩემი დიდი მეგობარი იყო, ოჯახებითაც ვმეგობრობდით, ძალიან მაკლია. ამ ტურნირით კიდევ ერთხელ მოვიგონეთ და პატივი მივაგეთ. ღირსეული პიროვნება იყო.




ყოველთვის ვესწრები მისი სახელობის ტურნირს და მიხარია, რომ ტარდება, - გვითხრა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ევროპისა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვახტანგ ბლაგიძემ.

- ამჟამად როგორც წალკის წარმომადგენელი, ისე ჩამოვედი. 17 სპორტსმენი ჩამოვიყვანე. წარმოშობით ხულოს რაიონიდან ვარ. მე და გელა ერთად ვასპარეზობდით, ბევრი კარგი მახსოვს მისგან. წარმატებული სპორტსმენი, გამოცდილი და დამსახურებული მწვრთნელი იყო. მისი გაზრდილები დღეს ჭიდაობის სფეროში წარმატებულები არიან, მათ შორის, ზაზა ჯიბლაძე, ჯემალ ბაკურაძე, ბევრი სხვა... გელას არასოდეს დავივიწყებთ, - გვითხრა ვეტერანმა მოჭიდავე ანზორ ბოლქვაძემ.